

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძოლი სერიზი



№ 4


საქართველოს სსრ-ის
ბიბლიოთეკის
სამუშაო განყოფილება

სახელმწიფო გამომცემლობა—1926 წ.

უ ი ნ ა ა რ ს ი.

	გვ.
1. პირველი მაისი—ლექსი უ. მდივნისა	1
2. პირველი მაისი—შანისა	2
3. სიცოცლხე ცეცხლში—ე. პოლუმორდვინოვისა	6
4. გაზაფხული—ლექსი საფო მგელაძისა	9
5. 102—X-ისა	9
6. ნორჩი რევოლიუციონერები—ს. კრემნევისა (თარგმ.)	12
7. რაჭა—ე. პოლუმორდვინოვისა (დასასრული)	22
8. პიონერ—მოძრაობა და სკოლა—შ. რ.	28
9. გაზეთის ფურცელი—თარგმ. თ. ბ.	29
10. გასართობები: გემის და მცურავი კაცი მთვარეზე, თამაში	32-ით





899.962.1(05)
წ-63.

1926

ქ ბ რ ი ლ ი

განათლების სასჯალსთ კომისარიატის სოციალური აღზრდის
მთავარმართველობის და საქ. ა. ლ. კომუნიზმის ცენტრ-
ლური კომიტეტის აქრნალი შავშინსათვის.

წელიწადი 3,
№ 4



ცა მოირეკს შინდის დროშებს,
ქუჩებს ცეცხლად ეფინება,
მზე მაისის ქუჩებს მოსდევს,—
მზე მაისის... მზე დიდება.



ყველა მდერის, ყველგან ლხინი
დარდი არვის შეაშფოთებს,
ხალისის და ძღვევის ეინით
ცა მოირეკს შინდის დროშებს.

ბეჭი ბეჭს და ბიჯს ნაბიჯი—
ხმა ძლიერი ათასებად,
გზა—მაისი, ქუჩა—ხიდი,
ცა გაშალეთ ლხენის ფრთებად.

გადასძახეთ ჯარის რიგებს—
ძალა—მუშა, მკლავის ღონე,
ყველგან შვება დაარბევთ,
ყველგან ლხენა გაგვაგონეთ.

პიონერო, ბუკ-ნალარა!
ქუჩის ტალღა გაახეღე,
ფედაშენის თმა ჭალარა,
წითელ ჩვარში გახვეული,—

ღღეს უცინის მაისის მზეს,
გამოემთო ქუჩის ლხენას,
ცა გადახსნილ შუბლში უმზერს,
ზღვად გაშლილი ტალღა ღელავს.

ბეჭი ბეჭს და ბიჯს ნაბიჯი—
ხმა ძლიერი ათასებად,
გზა—მაისი, ქუჩა—ხიდი,
ცა გაშალეთ ლხენის ფრთებად.

ვინ გაბედავს მრუდე ნაბიჯს,
მილიონთა გულს ვინ დახვეს?
„მთელი ქვეყნის ძალა ერთად!“
მძლე მაისი გვიკარნახებს.


ბარბანი — ბუკ-დაირი!
 მძლე რიგებში ისმის მღერა,
 დღეს გვესურს ვიყოთ სხვანაირი —
 ბარბანო, დაჰკარ ლხენად,

რომ ჩვენი ხმა, ძლევის მეხი,
 ერთნაირად ყველგან სქექდეს.
 ვინ გაბედოს ხმა უკმენი?
 ჩვენზე ბრძოლად ვინ აღელვდეს?

ცა მოირეკს შინდის დროშებს,
 ქუჩებს ცეცხლად ევლინება,
 მზე მაისის ქუჩებს მოსდევს —
 მზე მაისის... მზე დიდება.

ყველა მღერის, ყველგან ლხინი,
 დარდი არვის შეაშფოთებს,
 ხალისის და ძლევის ჟინით
 ცა მოირეკს შინდის დროშებს.

უ. მღივანი.



პირველი მაისი

— აბა, ბავშვებო, დაესხდეთ და ვისაუბროთ
 ხვალინდელი პროლეტარული დღესასწაულის — პირ-
 ველა მაისის შესახებ.

— თქვენ ხედავთ, როგორ გულმხურვალედ
 ენზადებიან მისთვის მშრომელები. ახლა არათუ მარ-
 ტო ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში, არა-
 მედ მთელ ქვეყნიერებაზე წარმოებს გაძლიერებული
 მუშაობა დიდი დღესასწაულის შესახებდრად.

მოდით გონებით ვაფერინდეთ დედამიწის ირ-
 გვლივ, დავინახოთ, თუ ვინ როგორ ემზადება ამ
 დღისათვის.

პირველად გადაფერინდეთ საბჭოთა სოციალის-
 ტური რესპუბლიკების კავშირისკენ.

— აი ჩვენს წინ დიდი ქალაქია ქარხანა-ფაბ-
 რიკებით, ელექტრო-სადგურებით, ტრამვაით, ყაზარ-
 მებით, მუშათა კლუბებით!..

ყველგან შევიხედოთ.

ქარხანა-ფაბრიკების ფართო ეზოდან გამოდიან
 ასეული მუშები; ისინი დღეს ერთი საათით უფრო
 ადრე იდებენ ხელს მუშაობაზე, ჩვეულებრივ საუ-
 შაო დღეებთან შედარებით: ისინი ისწრაფიან, რომ
 მოემზადონ თავისი საპირველმაისო დღესასწაულის-
 თვის.

შეხედეთ, როგორი გაბედული და მხიარული
 სახეები აქვთ მათ...

აი, სკოლის კარებიდან მხიარული ჟივილ-ხი-
 ვილით გამოცვინდენ მოსწავლეები. ზარის ხმასა-
 ვით გაისმის მათი ნორჩი ხმები ქუჩაზე. ყველანი
 მაეშურებიან შინისკენ, რომ მალე ისადილონ და
 კვლავ სკოლისკენ გაიქცენ და მწვანეულობით, წი-
 თელი დროშებით და მხიარული ფერადი ლამფებით
 მოართონ.

ყოველ მათგანს სურს სხვებზე ლამაზად მორ-
 თოს და მოაწყოს თავისი სკოლა.

უსმინეთ, როგორ საუბრობდა ორი მოწაფე
 პიონერი.

— მიშა, — ამბობს ერთი, — გასულ წელს მე-
 შვიდე და მესამე შრომის სკოლა უკეთესად იყო
 მოწყობილი და გალამაზებული, ვიდრე ჩვენი. წელს
 ყველა სკოლებს ჩვენ უნდა ვაჯობოთ, ყველამ ჩვენი
 სკოლის მოწყობილობას უნდა მიაქციოს ყურადღება.

— მოდი ხუთქიმიანი ვარსკვლავი გავაკეთოთ,
 უბასუხებს მას ამხანაგი.

ისინი მხიარულად გარბიან თავისი გეგმის შე-
 სასრულებლად...

ყველა განსაკუთრებული სიყვარულით ცდი-
 ლობს შეამკოს ლენინის სურათი. ყველაზე უფრო
 ლამაზი ყვავილები, რომელთა შოვნაც კი შეიძლე-
 ბა ქალაქში, ყველაზე ბრჭყვიალა ლენტები, ყველა-
 ზე უფრო წითელი ელექტრო-ლამფები — ყველაფე-

რი ეს მიაქვთ ძვირფას, საყვარელ ილიჩის სურათებთან. და ეს სავსებით გასაგებია: განა ილიჩმა არ გახადა ეს დღესასწაული განსაკუთრებით ლამაზი და მხიარული, განა ილიჩმა მშრომელთა ამ დღესასწაულს, მის თვითველ სიხარულს არ შესწირა თავისი სიციცხლე?...
 განვაგრძოთ გზა.

აი მუშის ოთახი. შევიხედოთ შიგ. მამა გაზეთს კითხულობს დასუფთავებულ ოთახში, დედა აუთოებს ახალ ტანსაცმელს, ამ დღესასწაულისათვის შეკერილს. მათი ბავშვები შინ არ არიან. უფროსები კომკავშირში, უმცროსები სკოლაში არიან დღესასწაულისათვის სამზადისში. სახლში მარტო ხუთი წლის ვანოა, რომელიც დედას დაჰკიდებია კაბაზე და ხელს უშლის უთოობაზე და ბუზღუნებს:

— დედა, მე მინდა პიონელი ვიყო!...
 ღამდება...

და ხვალ, დილის მზის სხავებთან ერთად, აცისკროვნდება ქალაქები, სოფლები; აფერადდება ისინი წითელი დროშებით. გირლიანდები მწვანისაგან, წითელი დროშები, ხუთქიმიანი ვარსკვლავები, ღერბები და გვირგვინები, გაკეთებული ვაზაფხულის ყვავილებიდან, დამშვენებს ყველაფერს, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე მოგვაგონებს მუშათა და გლეხთა გამარჯვებას. ყოველ ქუჩაზე გამოფენილი იქნება საპირველმისო ლოზუნგები, სადღესასწაულო არკები, მორთული ყვავილებით, მწვანით, ლენტეხით და რევოლუციის ბელადების სურათებით.

ამ სადღესასწაულო დღეს მთელი მუშები და გლეხები, მთელი მშრომელები დიდიდან პატარამდე გამოვლენ ქუჩებში. ქალაქის და სოფლის ყველა კუთხეებიდან დაუსრულებელი წყებით, დარაზმული რიგებით და წითელი დროშებით წინ თავს მოიყრიან მოედნებზე, სადაც წინა დღიდან უკვე ამართულია მაღალი ტრიბუნა, რომლიდანაც ორატორები იტყვიან თავიანთ სიტყვებს.

იქ, ამ მოედნებზე, დარაზმულ მუშათა და გლეხთა მასები და მებრძოლი, გაბედული წითელ-

არმიელები ჩაივლიან სააღლუმო მორთულობით, თელი, საბჭოლოდელი დროშებით.

აქ ვის არ ნახავთ, ვის არ შეხვდებით.

შეხედეთ: აღლუმი გათავებულია. მუსიკა ჰქუხს. ნელი ნაბიჯით მიდის წითელი მეომრების მწყრივები; ყველაზე უფრო კარგი საყურებელი ნორჩი პიონერებია. შეხედეთ, როგორ ლამაზად მოძრაობენ ისინი. აი პატარა მედაფე. ის ამაყად ახმაურებს დაფს. მას ცისფერი შარვალი და თეთრი ხალათი აცვია. ყელზე შემოკრული აქვს პიონერის ყელსახვევი, წითელი, ცქრილა ლენტეხი. მას უკან მიჰყვება ასეთივე ტანსაცმელით მორთული პიონერი წითელი დროშით ხელში. დროშას ოქროს ასოებით აწერია:

— ყოველთვის მზად ვართ!

და შემდეგ ასეთივე ასეულები ბავშვებისა მწყობრი რიგებით განაგრძობენ გზას.

პიონერებს მიჰყვებიან მუშები, რომ-

ლებიც დარაზმულები არიან თავიანთ კავშირებში, წარმოებებში.

დროშების ზღვა, ათეული მუსიკა, ადამიანების დაუსვენებელი ტალღები.

ქუჩაზე ხმაურობა და მხიარულება...
 ღამით ათასეული ცეცხლი, ჩირაღდანი ანათებს, ისმის მუსიკა, მუშაობს კინო და თეატრები.

პირველი მაისი შრომის სადღესასწაულო დღეა! მაგრამ ყველა როდი დღესასწაულობს პირველ მაისს.

ჩვენში, საბჭოთა კავშირში, პირველ მაისს დღესასწაულობენ თავისუფლად მხოლოდ მას შემდეგ, რაც ძალა-უფლება მუშების და გლეხების ხელში გადავიდა. ამ დღიდან პირველი მაისი გახდა მშრომელთა გამარჯვების დღესასწაული, მანამდე კი პირველი მაისი იყო მუშათა და გლეხთა საბრძოლველად მოწოდების დღე—მეფისა და მჩაგვრელების წინააღმდეგ.

სხვა ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ მუშებს და გლეხებს არ ჩაუგდიათ ხელში ძალა-უფლება, პირ-



აბა, ბავშვებო, დავსხდეთ და ვსაუბროთ ხვალინდელი პროლეტარული დღესასწაულის—პირველი მაისის შესახებ.

ველი მაისი წარმოადგენს მოწოდებას უკანასკნელი და გადამწყვეტი ბაძოლისთვის.



ყველა განსაკუთრებული სიყვარულით ცდილობს შეამკოს ლენინის სურათი.

მოდი, გავეცნოთ, შევხედოთ, რას აკეთებენ სხვა ქვეყნებში დღეს, პირველი მაისის წინაღღეს. როგორ არ ჰგავს იქაური დღევანდელი დღე ჩვენი ქვეყნის დღეს. ჩვენთან მუშები უკვე წავიდნენ სახლებისაკენ, აქ კი ჯერ კიდევ ისმის ქარხანათაბრიკების ხმაურობა; ჩვენთან მოსწავლეები უკვე დიდი ხანია, რაც შეუდგენ თავიანთი სკოლების მორთვა-გალამაზებას, აქ კი ისინი სხედან მოწყენილი სახეებით, დახუთულ კლასებში.

მოვიცადოთ, რა იქნება ხვალ...

აი პირველი მაისიც...

მაგრამ რა არის ეს? შეხედეთ—ქანდაკების და პოლიციელების მთელი წყება შორიდან უთვალთვალეს ფაბრიკის მუშებს.

მოულოდნელად ფაბრიკის საყვირი ჰკვეთს ჰაერს. ასეული მუშები გამოდიან ქუჩაზე. აქა-იქ გროვდება ჯგუფები. ხალხი თანდათან იზრდება. გაისმის ორატორის ხმამაღალი ლაპარაკი. ხალხში აფრიალდება წითელი დროშები და გაისმის „ინტერნაციონალის“ სიმღერა და ხმები: „გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს!“, „გაუმარჯოს მშრომელთა განთავისუფლებას მთელ მსოფლიოში!“ „ძირს ბურჟუაზია!“

ცხენოსანი ქანდაკები შეიკრებიან ხალხში. მათი უფროსი იძლევა განკარგულებას:

„ახლავე დაიშალეთ, თორემ ყველას დაგატუსაღებთ!“

ამის საპასუხოდ მუშებისაგან გაისმის სტვენა და პროლეტარული ჰიმნი—ინტერნაციონალი. ქანდაკები იწყებენ მუშების შევიწროებას. აი ერთ მუშას ქანდაკმა გადაუქნია მათობი, მაგრამ სანამ ის მუშას მოხვდებოდა, მანამდე კორძინამა ხელემა გადმოაგდო ქანდაკი ცხენიდან. იწყება შეჯახება. გამხეცებული ქანდაკები, გასისხლიანებული თვალებით, იწიშვლებენ ხმლებს და დაერევიან მუშებს, მაგრამ მუშებიც მომზადებული არიან. მათ მიერ გასროლილი ქვები, მათი სტვენა და ყვირილი ქანდაკებს შიშს ჰკვირის. ქანდაკები შეშინებული უკან იხევენ.


მუშა—ორატორის ხმა უფრო ძლიერდება, უფრო გაბედული ხდება. ის მოუწოდებს მუშებს—გაერთიანდნ ერთადერთი მუშათა პარტიის—კომუნისტური პარტიის—გარშემო და იერიშები მიიტანონ თავიანთი კლასიური მტრების წინააღმდეგ. ათასეული აწეული ხელი გამოჩნდება თანხმობის ნიშნად.

კვლავ გაისმის პროლეტარული ჰიმნი და დროშებით წინ იწყებენ სვლას მუშები ქუჩებში.

— გაუმარჯოს პირველ მაისს, გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მუშათა ძმურ გაერთიანებას—მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!—ისმის მუშათა გაბედული ხმები.

უცებ მუშები შეჩერდნ. მათ გზა გადაუღობა ქვეითი ჯარის რაზმმა.


სამარისებური სიჩუმის წუთები და... სროლა!.. ყვირილი... მომაკვდავების ძახილი... სისხლი...



მუშის ოჯახი, რომელიც ემზადება პირველი მაისის დღესასწაულისათვის.

კვლავ სროლა!..

ქვაფენილი იფარება სისხლით, მაგრამ არა ბანკირების, გენერლების, მემამულეების, ბურჟუების,



სახლვარგართ მუშების სისხლით ქვაფენილები იფარება.

არამედ მუშების სისხლით, რომელთა ხელებიც ნახევარი საათის წინ მართავდნენ მანქანებს, ჰქმნიდნენ სიმდიდრეს კაპიტალისტებისათვის...

ასე ტარდება პირველი მაისი თითქმის ყველა ქვეყნებში, გარდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა.

შევჩერდეთ. დავისვენოთ.

ღიახ, კარგად ვკხოვრობთ ჩვენ.

მაგრამ, იცით, ამხანაგებო, რა ფასადაა მოპოვებული ჩვენი თავისუფალი პირველი მაისი? იცით, რამდენი სიცოცხლეა მისთვის გაწირული?

მისმინეთ, მე თქვენ გიამბობთ ამ დღის ისტორიას, ისტორიას ჩვენი ბრწყინვალე დღესასწაულის.

ორმოცი წლის წინ, 1886 წელს, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მუშებმა აუტანელი მდგომარეობის გამო გაფიცვა გამოუცხადეს ქ. ჩიკაგოს მდიდრებს და დემონსტრაციები მოაწყვეს. ბურჟუაზიის მიერ დაჭირავებულმა პოლიციამ და ჯარმა ამ დროს მოჰკლა და დასჭრა რამოდენიმე ათეული მუშა. მათი ხსოვნის აღსანიშნავად ამერიკის მუშებმა დაადგინეს, რომ ყოველწლიურად ედღესასწაულათ ერთი დღე. ამ დღედ დანიშნულ იქნა პირველი მაისი.

სამი წლის შემდეგ საფრანგეთის სატახტო ქალაქ პარიზში შეიკრიბა მთელი ქვეყნის რევოლუციონერების ყრილობა (მეორე ინტერნაციონალის პირველი კონგრესი—1888 წელს.), აქ დადგინდნენ იქნა, რომ პირველი მაისი გახადონ მთელი ქვეყნის

მუშათა დღესასწაულად. ეს დღე უნდა გამოსაირი რევოლუციონური მუშების ძალების დასტურების და დარაზმების დღედ.

ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც ამ დღეს აყენებდნენ მუშები, იყო: სამუშაო დღის შემოკლება 8 საათამდე (მანამდე მუშებს უხდებოდათ 12-14 და ხშირად 16 საათის მუშაობა დღეში).

რვა საათის სამუშაო დღის შემოკლებას მუშათა სხვა მოთხოვნებიც მოჰყვა, მაგალითად: მუდმივი ჯარის დაშლა, რადგანაც სახელმწიფოს მისი შენახვა ძვირად უჯდება, ეს ფულები ჯარის შესანახავად კი სახელმწიფოს მუშებისაგან და გლეხებისაგან მიაქვს.

მიემატა სხვა მოთხოვნებიც, რომელსაც უნდა გაეთუჯობებებია მუშათა მძიმე პირობები.

უკვე 1891 წლის პირველმა მაისმა ბევრი რამ აგრძნობინა მდიდრებს საფრანგეთში. მუშები საფრანგეთის ზოგიერთ ქალაქებში ისე მომზადებული და დარაზმული გამოვიდნენ მჩაგვრელების წინააღმდეგ, რომ ეს უკანასკნელები იძულებული შეიქნენ დახმარებისათვის პოლიციისათვის მიემართათ, საქმე შეტაკებამდეც მივიდა.

რუსეთში პირველი მაისი პირველად 1891 წელს აღდგესასწაულეს, მხოლოდ დიდ ქალაქებში. საქართველოში პირველი მაისი პირველად იდღესასწაულეს 1899 წელს ტფილისში, ნაძალადევის გორაკის გადაღმა, ხოლო 1900 წელს—ტფილისის ქუჩებში.

გარდა პირველი მაისის ლოზუნგებისა რუსეთის მუშები საუროოდ აყენებდნენ თვითმპყრობელობის დამხობის ლოზუნგებსაც.

1917 წლამდე პირველი მაისის დღესასწაული რუსეთსა და ჩვენს მუშათა ცენტრებში თავდებდა პოლიციასთან და ეანდარმერიასთან შეტაკებით, მასიური დაპატიმრებით, გადასახლებით, ე. ი. როგორც დღეს ბურჟუაზიულ ქვეყნებში, რომელთა შესახებაც ზევით გვქონდა ლაპარაკი.


მაგრამ მუშები მაინც არ დრკებოდნენ, თანდათან ემატებოდა მათ რიგებს ახალი რაზმები, თანდათან აფართოვებდნენ თავიანთ ბრძოლას.

სწორედ ამის შედეგი იყო ის გამარჯვება, რომელიც მოიპოვეს ქვეყნიერების ერთ მეექვსედ ნაწილზე მუშებმა და გლეხებმა.

აი მთელი ჩემი მოთხრობა.

მოდით, ბავშებო, დასასრულ, რაც ძალი და ღონე გვაქვს, დავიძახოთ:

გაუმარჯოს პირველ მაისს!





მზე სოფელში.

მზესთან ერთად მალალი მთიდან გადმოდის სანდრო. მწვანე ფერდობზე იშლება ცხერის ფარა. ქვეით ნაკადია მხიარული, უფრო ქვეით კი მოწყენილი ბებერი მუხა. შეიძლება ცხერები სადმე გადაიკარგონ; ეს თითქოს არაფერია.. მუხის ძირში წვება სანდრო, ხშირი ტოტებიდან შესცქერის მზეს, ფიქრობს: რათ ანათებს? რათ ათბობს? რა არის იგი? მაგრამ ბავშია და ვერ ხედება.

ეს იყო ყოველთვის, როდესაც მუხა ხედავდა მზეს, როდესაც სანდრო მის ჩრდილში წვებოდა.

ერთხელ სანდრომ დედას ჰკითხა:

— დედა, რა არის მზე?

— ცეცხლია, შვილო, ცეცხლი..

დედამ უთხრა: მზე ცეცხლიაო, და მასაც სჯერა, სჯერა იმიტომ, რომ დედამ უთხრა.

— რა კარგი ყოფილა ცეცხლი! ფიქრობს სანდრო და განაგრძობს თავის სიცოცხლეს. მან სრულიად არ იცის, თუ რა ხდება სოფელს იქით, თუ რა ცეცხლია სოფლის მზის გარდა. მხოლოდ, როგორღაც გაუგონია ომის შესახებ, სადაც მისი ძმაც არის წასული.

და ერთხელ მოვიდა ამბავი, რომ სანდროს ძმა ცოცხალი აღარა ჰყავს.

მისთვის ეს არაფერია, რადგან ომში აღამიანებმა გააჩინეს ცეცხლი, და ამ ცეცხლში მოკვდა იგი.

მერე რაა, რომ მოკვდა? მოკვდა იმიტომ, რომ ცეცხლს ვერ გაუძლო!

რა ვუყოთ, რომ ის ასე ფიქრობს, ის ხომ ბავშია.

დროს კი ჩვეულებრივად ატარებს. ხშირად მზის

ამოსვლისას მუხის ტოტებიდან შესცქერის მზეს, სინჯავს და სჯერა, რომ მზე ცეცხლია..

— ეს იყო მაშინ, როდესაც წელიწადებმა განვლო. სოფელი ჩვეულებრივად იღვიძებდა და იძინებდა მზესთან ერთად. გაღვიძებისას ავტომატობით შექოვიდნენ, თან წითელი ბაიარღებია შემოიტანეს. სანდროც აქ იყო. შესცქეროდა უცნობ ხალხს და ხედავდა მათ თვალეში ჩაუქრობელ ნაპერწკლებს..

ერთი მათგანი ხმამალა გაჰკვივის:

— ამხანაგებო!.. ჩვენ მოვიტანეთ თავისუფლება.

— დიდებმა გაიგეს მისი ნათქვამი, ბავშვები ვერ მიხვდნენ, ვერ მიხვდნენ იმიტომ, რომ ბავშვები იყვნენ, მაგრამ მაინც უხაროდათ, იცინოდნენ, ხტოდნენ.

— ძია, კარგია თავისუფლება? არ არის ცეცხლი?

— არა, ბავშო, ცეცხლის მაგიერ სიყვარულია.

— მე კი მეგონა, ცეცხლია მეთქი..

— მერე რით გინდა იგი?

— მიყვარს, იმიტომ, რომ მზე ცეცხლია..

მოსულს გაუკვირდა ბავშვის უცნაურობა, დაჰკითხა:

— შენი სახელი?

— სანდრო..

ჩაჩუმდნენ. ბავში ჩაფიქრდა.

— ძია, წამიყვანე თან. მე მინდა ვნახო თავისუფლება!

— და მერე დედა?

— დედა აღარ მყავს.

— არც მამა?

— არა..

— მაშ კარგი.



რამდენიმე წუთის შემდეგ სანდრო მიჰქროდა სოფლიდან საღაც შორს, სხვა სივრცეებში. მიჰქროდა და შესცქეროდა სოფლის მზეს, შესცქეროდა ბებერ მუხას, შორდებოდა იმ ადგილებს, სადაც აღიზარდა.

ცეცხლი ქალაქში.

ქალაქი სანდროსთვის ნაღვლილი უცნაურება არის, ეს არ ჰგავს სოფლის სივრცეს... ხედავს უამრავ ხალხს, ავტომობილების გიჟურ სისწრაფეს, ტრამვაის ღირღიტს, ეტლების სრიალს, ხედავს სივრცეს ახმაურებულს და უხარია, უხარია და ფიქრობს:

— ეს ხომ ცეცხლია, ნამდვილი ცეცხლი...

ესენი ხომ ცეცხლში ცოცხლობენ...

ელექტრო-სადგურზე მიბარებულს უფრო მეტი სიხარული არ განუცდია, რაც განიცადა, მანქანები რომ დაინახა... უცქერის ბორბლების ტრიალს, უსმენს მის ხმაურს, თითქოს ქარხნის სუნთქვაც კი ესმის, სურს მანქანებთან ახლო მივიდეს, რომ დაუახლოვდეს, შეუერთდეს, მაგრამ მასთან სდგას ვიღაც შავი, საყელო გადახსნილი, მკერდზე ოფლის შავი წვეთებით, და ეუბნება:

— ახლო ნუ მოხვალ...

— რისთვის არის ეს მანქანები?

— ცეცხლის მაგიერობას სწევს. ვანათებთ ქალაქს ისე, როგორც მზე.

— ცეცხლის მაგიერობას? რა კარგია აქ მუშაობა, აქ სივრცე...

— კარგია და იმუშავე, — უპასუხებს საყელო გადახსნილი, გულში კი ფიქრობს: ჩამოგედინოს ასე ოფლი და მაშინ სთქვი კარგიაო.

რამდენიმე თვეში შეეჩვია ახალ ამხანაგებს, ახალ შრომას. და შეუყვარდა კიდევ. ის თავს ევლება მანქანებს და როგორც ყველა, იწმენდს მკერდზე ჩამონადენ ოფლს. გადის დღეები, გადის თვეები, გადის წელიწადი, დგება მაისი. ზემოებს სანდრო ამ დღესასწაულს, ზემოებს სიხარულით. მან უკვე იცის, რა არის თავისუფლება, რა არის მაისი, იცის და ამბობს, რომ თვითონაც მონაწილეა ახმაურებული სივრცის. სწავლობს სიმღერებს და მღერის ყო-



ველთვის — როდესაც მარტოა, როდესაც მუშაობს მანქანებთან... მღერის და თითქოს ბორბლების ხმაურს უხმატკბილებს თავის სიმღერებს, თითქოს ერთი ხმით, ერთი სიჩქარით ვაჰკივის მანქანებთან ერთად. უხარია, რომ ცოცხლობს მანქანებში, სუნთქავს მათ აგუგუნებულ გულში. უხარია, რომ გაიჩინა ახალი მეგობრები, ახალი მიზანი...

ბრძოლა და ცეცხლი.

დღეებს დღეებზე გადაჯაჭვულს მოაქვს ახალი სახეები. სანდროს მკლავში ძალა მიეცა, თვალებში ცეცხლი. იყო დილა, როდესაც უცნობი მოვიდა სანდროსთან და უთხრა:

— სანდრო, თეთრები მოდიან, ბრძოლა და იწყო...

— ვინ არიან თეთრები?

ჩვენი მტრებია, თავისუფლების წართმევა და სივრცის ჩაქრობა უნდათ...

— ?!

— შეგიძლია ბრძოლა?

— შემიძლია!

— მაშ წამოამყევი...

სანდრომ შეილური სიყვარულით გადახედა ქარხანას და ამხანაგებს გადასძახა:


— მშვიდობით, მე მივიღივარ იქ, სადაც მეტი ცეცხლი აქვს სივრცეს... და მიატოვა მანქანები, მიატოვა ამხანაგები, მიატოვა იმისთვის, რომ თავისუფლების სადარაჯოზე ებრძოლა.

ბრძოლის ველზეა. თოფით ხელში მიდის წინ, არ ზოგავს ტყვიებს. დულს ყველაფერი. ბრძოლაა,

ბრძოლა... დაუზოგ-
ველი სისხლის ღვრა;
ირველივე ცეცხლია
გამეფებული, ცეცხ-
ლი სწავს სიბნელეს,
ცეცხლი სწავს მი-
წას, ბალახებს, ადა
მიანებს... მიდის სან-
დრო და ფიქრობს:
ო, რა კარგია სი-
ცოცხლე ცეცხლში!
მაგრამ რა უნდა აქ
სიცოცხლეს


— სად არის აქ სი-
ცოცხლე?

მაშ რა არის ეს,
თუ არა სიცოცხლე,
ზარბაზნები რომ ამოისუნთქავენ და კვამლში ახვევენ
ჰაერს?... თოფები რომ ჭახუხებენ და ოხრავენ
შავად... განა ის სიცოცხლე არ არის, ტყვიისმფრ-
ქვეველები რომ ახმაურდებიან, მეომარნი რომ მი-
დიან წინ და სუნთქავენ ხარბად? განა ის კი სიცო-
ცხლე არ არის, დაფეთებული ცხენები რომ ჭიხვინებენ
და ვერ ახწევენ ტყვიის სიმწარეს, დაჭრილი რომ
კვნესის და ჭრილობას იწმენდს ნაბდით... როგორ
არა, ნამდვილად სიცოცხლეა, — ფიქრობს სანდრო
და მიდის წინ გამეტებულად, იბრძვის და...



იქ, პატარა გორაკთან რაღაც გადავარდა მიწა-
ზე. თითქოს კვნესის ხმაც გაისმა... იქ თითქოს ვი-
ლაც მომაკვდავია... მაგრამ რა? ბრძოლა, — ბრძოლა,
დაუზოგველი სისხლის ღვრა; ირველივე ცეცხლია გა-
მეფებული, ცეცხლი სწავს სიბნელეს, ცეცხლი
სწავს მიწას, ხეებს, ბალახებს, ადამიანებს...

მომაკვდავი გორაკთან ფიქრობს: ო, რა კარ-
გია სიცოცხლე ცეცხლში... მაგრამ ეს სიკვდი-
ლი...



მაშინ ღამე იყო. ბროლის მთვარე
თავებმომტვრეული შოთი პურივით გამო-
იყურებოდა და დასცქეროდა მიმავალ
ურემს. აქ იყო სანდროს ნაცნობი მკები,
მიდამოები, აქ იყო ყველაფერი, რაც მას
ბავშობას უნახავს, მაგრამ დღეს კი ვერ
ხედავდა, ვერ ხედავდა იმიტომ, რომ მეურ-
მეს მიჰქონდა კუბო, და კუბოში კი სანდრო
იწვა...

და იქ, სადაც ამართულია ბებერი
მუხა, იქ, სადაც უყვარდა წოლა, ახლა
სამარეა, რომელსაც მუხის ფოთლებიდან
დასცქერის მზე, დასცქერის იმიტომ, რომ
უყვარდა მზე, უყვარდა ცეცხლი...

ელიზბარ პოლუმორდვინოვი.





გ ა ზ ა ფ ნ უ ლ ი .

სითბო, შუქი, ხალისი
მოჯა, მოიკალათებს,
და მზე საგაზაფხულო
მთის მწვერვალებს ანათებს.

იშმუნება, იშლება
თოვლით შენავერცხლები,
და ბუდეებს ბარდნიან
შავგვრემანი მერცხლები.

დღეს ბუნებას სახეზე
ლიმილი არ უქრება,
და ველური გვირილა
ზამბახს ესაუბრება:

„მშვიდობა და სალამი,
ჩემო წყნარო დაია,
მოდის თეთრი ლოტოსი
და ყვითელი ბაია.

იფოთლება ოლენა,
კოწახური, ჩადუნა,
და მორცხვა მზისუმზირამ
კრძალვით თავი დაღუნა;

მხეს გულს უხსნის ზოსტერი, —
ჟოლო, უსურვაზები,
დაიყურსა ნასრანი,
აიკვირტა ვაზები.

ჰყვავის უნდი, ნინოფი,
ნეგო, ტუხტი, შროშანი,
და ათასგვარ ჰანგებს სთხზავს
ფრინველების მგოსანი.

დილით, შვადლით, შვალამით, —
გალობს, არ იგვიანებს,
ხან ვარდს ჩაუჭიკიკებს,
ხან დაბარდნილ ლიანებს“.

ამას ამბობს გვირილა,
ამას ამბობს ბუნებაც,
და ყველას უბარია
ზამთრის დაძაბუნება.

გაზაფხული მოელავს
მხიარული ფერებით,

და ბავშვებიც ამბობენ
ლხენით და მოფრებით:

„მოდის, მზევ, დედოფალო,
დაყურსულო სხივებით,
და ყელზე მოგვახვიე
თეთრი შუქის მძივები.

გაგვიცინე, გაგვათბე,
გაზაფხული გვახარე,
და ეს ცეცხლის ვუალი
ფრთხილად გადაგვათარე“.

ისიც ნაზობს, კობტაობს,
ცის წილში ნაშვები,
ელავს მწვანედ მინდვრები,
გიჟობს ცელქი ბავშვები!

საფო მგელაძე.

102.

მემანქანემ აახმაურა მანქანა. აბურძღუნა კაც-
მა, მოყვითალო წვერით, დაჰკრა ქალაღს ბეჭედო.
ეს მოხდა ერთ მშვენიერ გაზაფხულის დღეს. ქალაღ-
დი გადასცეს შიკრიკს, რომელმაც მხიარულად გა-
აზბენინა ტელეგრაფში. ტელეგრაფისტმა ქალაღდი
აპარატზე გადაიღო. ამით დაიწყო.

ამ ქალაღმა ას ორი კაცის ბედ-იღბალი გა-
დასწყვიტა. სულ ახალი გზა უჩვენა მემანქანეს და-
ბეჭდილმა ქალაღმა.


მალაროების გამგე ყვიროდა ტელეფონში:

— მალარო № 12? დაუყონებლივ გამოგზავნეო
შვიდ-შვიდი კაცი, სიის მიხედვით, მალაროების სა-
მართველოში! დიახ, დაუყონებლივ! მოვლინებულ
იქნენ ჯამაგირის შენახვით.

ყველა რაიონებს აცნობეს ტელეფონით. ყვე-
ლა რაიონების მალაროებში მიღებულ იქნა ასეთი
ტელეფონოგრაამები:

— დაუყონებლივ!

ას ორი კაცი დაშურული სახით, შეჩვეული სიბ-
ნელეს, ალღვრული წყნარი თვალებით, დახშული
ხმით.



სიცოცხლის მესამედი გაატარეს მიწის ქვეშ. კალათას ამოჰყავდა ისინი ზევით; როცა ცა მოიქედებოდა ვარსკვლავებით. ამოვიდოდენ თუ არა, დაღალულნი დაეცემოდენ ცარიელ ფიცრებზე დილაღედ. დილით კი ისევ ჩაეშვებოდენ თავიანთ შავ ქაში—მაღაროში.

მხოლოდ უქმე დღეებში ანათებდა იმათთვის მზე, რომელიც, თითქოს ნაპერწყლებიაო, უცბად აინთებოდა და ისევ უცბად ჩაქრებოდა. ბავშვები? ჰყავდათ, რასაკვირველია. შეიძლება ამ ბავშვებსაც შეეძლოთ სიცილი. შეიძლება მაგრამ დღისით მამები მაღაროებში იყვნენ, ღამით კი ბავშვების სიცილი არ ისმის.

ინჟინრები ჩუმად იცინოდენ:

— ტეხ-ნი-კუმში! და მნიშვნელოვნად იქნევენ თითას. — გესმია?

— უცოდინარი მომუშავეები!

როცა ამორჩეულნი მოდიოდენ კანტორაში მივლინების ფულის ასაღებად, მოლარე ხუმრობდა:

— სტუდენტები? დიახ, დიახ! და მიიბრუნა რა თავი, ჩაიბუტბუტა:

— ლომონოსოვები!

მაგრამ ას ორი კაცი შეგროვდა ერთ ადგილას, პატარა, მჭვარტლიან ქალაქში, რომელიც მათ მაღაროს ჰგავდა. ისინი ჩამოდიოდენ ჯგუფ-ჯგუფად დილით და იკრიბებოდენ უკარო და უფანჯრო და-ნგრეულ სასტუმროში, სადაც უნდა ეცხოვრათ.

პირველი ჩამოვიდა ანდრია მაკეევი, ყველაზე მოუსვენარი.

მხოლოდ მისი ბოხი ხმა გაისმოდა მათ შორის. მაღალი, ცუდად გამოკობიებული, შავი, წვეტიანი წვერით.

— იძლევი ცოდნას! — იძახდა ბოხი ხმით.

მაგრამ ცოდნას ჯერ არ იძლეოდენ. მოვიდა ისევ ის აბურძგნული, მოყვითალოწვერიანი კაცი, რომელმაც დაუსვა ბეჭედი ქალაქს, დაათვალიერა მათი უკარო და უფანჯრო სადგომი, დაიდრიჯა.

— ტენიკუმისათვის შენობა ჯერ არა გვაქვს, — დარცხვენით სთქვა, მაგრამ წავიდეთ.

ას ორი კაცი გაჰყვა მას, მივიდენ.

— აი!

უფანჯრო, უკარო, გადაქცეული სახურავით იდგა სახლი. შიგ კი — ქვა, ნაგავი, დამტვრეული მინები. და კიდევ ორი კორპუსის საძირკველი. — ხედავთ? ეს იქნება ტენიკუმი.

დარცხვენით იძახდა რაღაცას ასიგნობაზე, რომელიც ჯერ არ მოსულიყო ცენტრიდან, შეკეთებაზე, რომელიც სასწრაფოდ უნდა მოხდეს.

— ძალიან სასწრაფოდ!

მემანქანე ბეჭედავდა მანქანაზე და შეჰყვებოდა მიჰქონდა ტელეგრაფში.

— გამოგზავნეთ ასიგნობა! — მეორდებოდა ტელეგრაფის მეუთულში.

მხოლოდ ფაფით იკვებებოდა ას ორი კაცი ერთი კვირის განმავლობაში; დადიოდენ აღმასკომში და კითხულობდენ:

— მალე იქნება ასიგნობა?

— მალე, ამხანაგებო, მალე!

ეძინათ ცარიელ ფიცრებზე და ელოდენ. ანდრია მაკეევი ბოხი ხმით იძახდა:

— იძლევი ცოდნას!

— ამხანაგებო, ჩვენ ხომ გვაქვს ხელები.

— ხელები?!

ას ორი კაცი ათვალეირებდა თავიანთ ხელებს, დამახინჯებულს შრომით, ბრტყელი ფრჩხილებით, გასქელებული კანით.

— დიახ, ხელები!

ანდრია მაკეევა უჩვენა თავისი ხელები:

— აი!

— მერე რა?

მაკეევა დაიწყო ჩქარა:

— რათ ველოდოთ ასიგნობას?

— უკან დავბრუნდეთ? გეშინიათ, განა?

— არა, სრულიად არა! — გააქნია მაკეევა წვეტიანი წვერი — ჩვენ თვითონ... დასწყევლოს ეშმაკმა ის ასიგნობა!

ერთად წავიდენ აღმასკომში, წინ — ბელადი ანდრია მაკეევი.

— როგორ, არ არის ასიგნობა?

მოყვიჯალოწვერიანმა ჩაღუნა თავი.

— ჩემი ბრალი ხომ არ არის, ამხანაგო!

— აგური არის?

— აგური? გაკვირვებით შეხედა მოყვითალოწვერიანმა — რათ გინდათ აგური?

— ჩვენ გვჭირდება აგური, კირი, სილა, რკინის კოჭები, სახურავი რკინა. შემდეგ ლურსმანი, მინები, უმთავრესად კი — იარაღი.

— ნუთუ თქვენ თვითონ?

მოყვითალოწვერიანმა კაცმა ორ ნაბიჯი უკან გადადგა და გაკვირვებით გადაავლო თვალი ას ორ კაცს.

— როგორ! სად გაგონილი! მომავალმა სტუდენტებმა თვითონ...

მაკეევა კი:

— სად გაგონილია მაღაროების მუშების სტუდენტობა?

ას ორმა კაცმა გაიღიმა და მაშინ კი მოყვითალოწვერიანი დარწმუნდა.



— კარგი, ამხანაგებო! აგურიც არის, ფიცრებიც და სილაც.
 — იარაღებიც?
 — არის.

— ალტაცება? სწორედ ეს იყო ალტაცება. ას ორი კაცი ზიდავდა აგურს, ხერხავდა ფიცრებს, სთხრიდა მიწას, ამზადებდა კირს.

გადაყვითლებულნი აგურის მტვრით, გათეთრებულნი კირით, ფაციფუტობდნენ და მხიარულად ერმანეთს გადასძახოდნენ:

— იძლევიტ ცოდნას!
 დაღლილ-დაქანცულნი სიმღერას შემოსძახებდნენ:

მხოლოდ ჩვენ, მშრომელთ მთელი ქვეყნისა, — გვეკუთვნის ვფლობდეთ სამყაროს.

მხოლოდ ჩვენ, შრომის დიად რაზმსა, მუქთახორებს კი არასდროს.

რაღაც ზღაპრული სიჩქარით იზრდებოდა აგურის კედლები. შორს გაისმოდა ჩაქუჩის ხმა რკინის სახურავზე. იდგა სუნი ახალშედებილი იატაკის და კარებისა.

შენობას მოუახლოვდა ოთხი კაცი ჩაქუჩით ქუდის არშიაზე. წინ მოუძღოდა მოყვითალოწვერიანი.

— ხედავთ?
 — დიახ!

გამოჩნდა მაკევეი თავისი შალაშინით. მომღიმარი თვალებით გადახედა მას მოყვითალოწვერიანმა და უთხრა:

— თქვენი მომავალი მასწავლებლები.
 ახალმოსულებმა, ჩაქუჩით ქუდის არშიაზე, გაიმეორეს:

— დ-იახ! მომავალი!
 ერთმა მოსულთაგანმა, სრულიად გათეთრებულმა, დაცინვის კილოთი სთქვა:

— ეს როდის-ღა იქნება!
 — შენობა თითქმის მზად არის, — მიუგო მაკეევმა.

— მზად არის? აბა, სად არის სასწავლო სახელოსნოები? მოწყობილობა?

— არა, ეს შეუძლებელია!
 მაკეევმა გადინხარხარა.

— ხა-ხა-ხა! შეუძლებელია!
 — ყველაფერი შესაძლებელია!

— შეუძლებელია! — დაადასტურა ოთხივე მოსულმა.

— განა თქვენ შეგიძლიათ მოაწყოთ ელექტრონი? — ჰკითხა ქალარა კაცმა.

— შეგიძლია.
 — სახარატო დაზგები?

— შევძლებთ.
 — სასწავლო სახელმძღვანელოებში?
 — გამოვძებნით.
 პაპიროსი მოსწია და სთქვა:
 — ვნახოთ, როგორ შესძლებთ ყოველივე ამას.

— გვიან, საღამოს, სადგომში მოვიდა მოყვითალოწვერიანი. სახე უცინოდა, ქალაქს ხელში აფრიალებდა.

— ასიგნობა! ასიგნობა!
 — ასიგნობა?

— ხვალ ფული იქნება.
 ას ორი კაცი შეგროვდა ერთად ყველა ოთახებიდან.

საცვლები მსხვილი ტილოსაგან. ბალნიანი გული. ძარღვიანი ხელები.

— ასიგნობა?
 — ფული! — გაისმოდა ალტაცებით.

მოყვითალოწვერიანმა დაასახელა კიფრი.
 — ოჰ! ოჰ! მთელ ბანკს წამოვიღებთ.

— ამხანაგებო, ხვალ სამუშაოდ გამოსვლა არ არის საჭირო. დავიჭიროთ მუშები და ისინი დამთავრებენ შენობას, — სთქვა ღიმილით მოყვითალოწვერიანმა.

— როგორ? სხვები?
 — არასოდეს! — გაიძახოდა მაკევეი.

— ჩვენ დავიწყეთ, ჩვენვე უნდა დავამთავროთ. ტენიკუმი ჩვენია პირველი აგურიდან უკანასკნელამდე.

— ჩვენია! ჩვენი!
 შრომით დამახინჯებული ხელები ასწიეს ყველამ.

— ჩვენ. თვითონ! ტენიკუმი ჩვენია.
 — ამხანაგებო! ჩვენ ხომ ყველაფრის გაკეთებას ვერ შევძლებთ.

— შევძლებთ! შევძლებთ!
 ერთმანეთს მიუახლოვდნენ. იდგა ოფლის სუნი, შრომის ოფლის.

მოყვითალოწვერიანს რაღაც მოაგონდა, თვალები გაუბრწყინდა და სთქვა:

— ამხანაგებო, მე ხომ ელექტრონის მოხელე ვიყავი! ჩაფიქრებულმა დაბალი ხმით გაიმეორა:

— ელექტრონის მოხელე ვიყავი...
 ცოტა ხნის შემდეგ მაღალი ხმით დაიძახა:

— ხვალ მეც მოვალ სამუშაოდ. დავდგამთ დინამოს. ელექტრონის სადგური! მართლა, მე ვიყავი ელექტრონის მოხელე.

გუბერნიის აღმასკომის თავმჯდომარე, ძველებურად კი ლუბერნატორი.

— მე ელექტრონის მოხელე ვარ.



განა გინახავთ ოდესმე გუბერნიის უფროსი სახურავზე? გუბერნიის უფროსი ჩაქუჩით დაძვრებოდა სახურავზე და ავარებდა მავთულებს. აღმასკომის თავჯდომარე, ხელმწიფის დროს: მათი ბრწყინვალეობა.

ამით დაიწყო. მერე წავიდა და წავიდა.

მუშაობის ხალისმა ჩაითრია ყველა.

პარტკომის მდივანმა შუბლზე იკრა ხელი.

— მე ხომ კედლის მხატვარი ვარ.

ქალღლები გადაჰყარა. ხალათი გაიძრო. პარტკომის მდივანი დგას კიბეზე. ერთ ხელში უკავია ჩაფი საღებავით, მეორეში კი ფოჩი, რომლითაც გამოჰყავს ოქროს ვარაყით ასოები: სამთომადნო ტენიკუმი.

სახელმწიფოს პოლიტიკური სამართველოს თავმჯდომარე ყოფილი ღურგალია. ის იყო სახელგანთქმული ღურგალი, რომელიც მუშაობდა უფროს ხელოსნად ცნობილ დგამის ფაბრიკაში „შტეკერ შვილებით“. ის მუშაობდა შალაშინით და ხერხით, ლაქავდა, აკრიალებდა და ღიღინებდა:

ჩვენ ჩვენს ქვეყნას შევქმნით ახალსაგონებულს არარად ქმნილს გავხდით სვიანადგინებლივითვე

მესამედ მოვიდენ კაცები ჩაქუჩით ქუდის არ-შიაზე. დარბაზი გაჩაღებული იყო ელექტრონით, პრიალებდა ახლად შეღებილი იატაკი, სუფთად გამოიყურებოდა სასწავლო მაგიდები.

ას ორი კაცი იჯდა დარბაზში სკამებზე. სცენაზე კი — ღუბერნიის აღმასკომის თავმჯდომარე, სახელმწიფო პოლიტსამართველოს თავჯდომარე, გარნიზონის უფროსი, ქალთა განყოფილების გამგე.

მემანქანეები, რეგისტრატორები, შიკრიკები, რომლებმაც დაასუფთავეს იატაკები, მოაწყვეს სცენა, რომლებიც სჭირდენ, კერავდენ, ასულიყვენ ქანდაროზე და ყვიროდენ:

— ჩვენ გავიმარჯვეთ!

ოთხი კაცი თავს აქნევდა. უფროსმა იმათში, გათეთრებულმა, ხელები გაშალა და სთქვა:

— გავინილა ასეთი საქმე?

ს კამეჩვი

ნორჩი რეპოლუსიონარები

(შიეს სამ სურათად, ნორჩ შიონერთა ცხოვრებიდან)

პირველი სურათი

სცენა წარმოადგენს „შიონერთა სახლის“ დიდ ბაღს, ზღვის პირას. მარჯვნივ სდგას სახეურად აშენებული ფიცრული ქოხი, მარცხნივ კიბე, მიუღებელი სახლზე. კიბეზე გოგონების მრავალფეროვანი ჯგუფია. მუშაობს სდუღს. აწევია ფიცრები, დაზგა. ერთი ვაჟი ასაღაშინებს ფიცარს, სხვები მონებსა და ღარტყებს ეზიდებიან. უმცროსები მიწას ზიდავენ. ზოგიერთებს ხელმა ნიბეუბა და ფაცხები უჭირავთ... მთელი მოქმედების განმავლობაში, სანამ სავსეშია ზარი დაირეკებოდა, სწარმოებს მუშაობა. ორ შიონერს გაუდვია მარსე ფიცარი, გადასხდარან თავსა და ბოლოს და ქანაბენ. საშუადავია. მზე უსვად ახაუბს. ფარდის აწვევის შემდეგ რამდენიმე წუთს მუშაობა უსმოდ სწარმოებს.

ვლადიმერი. (ფიცარს ასაღაშინებს, მერმე თავს ანებებს მუშაობას, შეუბნ იწმენდს, მიუბრუნდება წითურ ბიჭს, რომელიც მიწაში ზაღას ასობს და მღერის: „ჩვენ ნორჩი გვარდია ვართ“)

(აშბბს) აბა, ამხანაგებო, კიდევ ცოტა, და ჩვენ დავიწყებთ იმ პირველი შენობის კედლების აგებას, რომელიც თავიდან ბოლომდე პიონერის საკუთარი ხელით იქნება აშენებული. ჩვენ შეგვიძლია ვიპაყოთ იმით, რომ დაწყებული პირველად ჩასობილი პალოდან უკანასკნელ ლურსმამდე — ჩვენი საკუთარი შრომა არის.

წითური. დიახ... ზაფხული ჩვენ უბრალოდ არ გავატარეთ... ახლა რა... გახსოვთ, როცა ჩვენ პირველად გავიფიქრეთ ჩვენი ქოხის აშენება, როგორ დაგვცინოდა უბრალოდ-სობა... არ გვიჯერებდენ... ამბობდენ: უკეთესია პიონერთა გამოგონების ქოხი რომელიმე ოთახში მოვაწყუთო... (იციანის).

მაია. (კიბეზე უბნ)... ევ კი საინტერესოა... ქოხი ყველა ჩვენი საკუთარი გამოგონებისაა, ხოლო თვითონ უბრალო ქოხის აშენებაც ვერ შესძლეს. არა, ჩვენ თვითონ ავაშენებთ...

ვლად. მაია!.. შენ, აბა, რა გააკეთე ჩვენი ქოხისათვის?

მაია. როგორ თუ რა?... ის, რაც სუყველამ...

კიბეზე მჯდომი. ყოჩად, მაია... ყოჩად... ვლად. შენ, მაია, ამ ზაფხულს ისე გამოიკვალე, რომ კაცი ველარ გცნობს. მახსოვს, პირველად რომ მოხვედი... სულ არ მო-

გვეწონე შენ მაშინ, საშინელი მიუკარგბელი იყავი.

წითური. გახსოვს, მათა, ნავით რომ მიეცურავდით ტყისკენ... მე სულ ნავს ვაქანებდი, მათა კი ზის, კინტს არა სძრავს. მე კი ვატყობ, რომ მათას ეშინია... აი ერთიც... ერთიც და მათა მორთავს ტირილს. მე კი ვფიქრობ, დე, მიეჩვიოს.

მიეუახლოვდით ნაპირს... მე ველარ მოვიტომინე და გადავხარე ნავის პირი წყლისაკენ... აქ კი ველარ შეიკავა თავი მათამ და მორთო წივილ-კივილი... ვაი-ვაი-ვაი...

ახლა უყურე კიბეზე ისე დახტის, როგორც კატა...

მაია. (მარჯვლად ჩაშრბის კიბეზე და ვლადიმერთან და წითურთან მარბას) შენ, ეი, წითურო, გეყოფა მოგონება, მათა ესაო, მათა ისაო. შენ გეცხოვრა ისე, რომ თავისუფლად ჰაერი ვერ გესუნთქა და მაშინ მიხვდებოდი, თუ რა არის სასიამოვნო...

აი, თქვენ, ამხანაგებო, ყველანი დამცინით, ე. ი. კი არ დამცინით, დამცინოდით, რომ მე „ტიკინა“ — შაქრისა ვარ... არც კი მაგონდება, თუ რამდენნაირ სახელებს მეძახოდით... და თქვენ კი არაფერი არ იცით.

როცა ჩვენ სკოლაში გვითხრეს, ვისა სურს პიონერებში ჩაწერაო, მაშინ მე არ ვიცოდი, რა იყო პიონერი... მე ვკითხე მასწავლებელს. როცა მან მიაბო, მე ისე მომეწონა, ისე, ისე, რომ ვერც კი ავიწყრთ... და მაშინვე გავიფიქრე შემუშავნა და მესწავლა ყველაფერი, ყველაფერი: სად და როგორ ცხოვრობს ხალხი, როგორ სტანჯავდენ ძველად მუშებს და როგორ მოხდა ისე, რომ მუშები და გლეხები თვითონ განაგებენ ახლა თავის ქვეყანას... აი, რამდენი საშინელება გადავიტანე!

ვლად. მაინც, რა?..

მაია. როგორ თუ რა? დედა, ძალუა — სუყველანი მე მტუქსავდენ... და ბოლოს გავდავწყვიტე, და ხომ ხედავთ? (გამოიჭიმება და ხელს ასწევს, თათქას სამსუდრო საღაში უნდა მასცესა)

მე გახლავართ მეორე კოლექტივის მესამე რგოლის ნორჩი ლენინელი მათა.

ბასტილ. მერე, მერე!..

მაია მერე?! მერე... (უურს უკდებს, კულისებთან მთავის ბახაბიდან დაბრუნებულ მაინერ

თა კოლექტივის ფეხის ხმა; გამობნევიან ხეხულისნის სიდრმიდან, მადან წვედ-წვედ-წვედ-წვედ მწყობრად; ეველას ერთნაირად აცვია — ლურჯი შარვლები ან კაბები და თეთრა ტილას ხალათები. ეველა ფეხშიშველას, ორ სამ შინეს მხარზე შინსხატება აქვს გადაკიდებული. მადან თავისუფლად, მაგრამ რიტმიულად, მდერან ზიანერთა გუნდურ სიმდერას. წინამდგელი ხელმძღვანელაბს. ეველანი სტენსზე გამოდინ. ჩერდებან მარცხნით. მათ რამეღამე იქ შეფთა ზიანერიც შეუერთდებან. დადინ „ადგილბობი“. რცა სიმდერას დასმთაფრებენ, ჳგუფ-ჳგუფად იშლებან სხვადსხვა მხარეს. ზოგი ოთურმას თამაშობს, ზოგი გამინასტიკას აკეთებს კიბეზე, ზოგი ნაშენებ ქანთან მადის და ათვლიერებს მას. ერთი სიტყვით, სტენსზე განუწყვეტელი სიტაცხლავს).

მარსი. ყოჩაღები ხართ თქვენ, ამხანაგებო! მე მგონია, ძალიან სასარგებლო იქნება, რომ ხშირ-ხშირად ვიაროთ საბანაოდ. იმ ხნის განმავლობაში, რაც ჩვენ წავედით, თქვენ მთელი ქალაქი აგიშენებიათ. თქვენ არ მოგიფიქრებიათ, არ ვაგინაწილებიათ, სად დაიკიდება სურათები, სად იქნება ჩვენი წიგნების თარო, სად შეინახება ჩვენი ფეხბურთი, ჰანდაბელო და სხვა? (მათ ღაზს-რაქში დამდებს და თანდათან ბნელდება)

მაია. მარს! მაგაზე ჩვენ ვიფიქრეთ. შენ იფიქრე (ხურჩულით) ჩვენი საქმის შესახებ? ვალოლია! მარს! საღამოზე ჩვენ უნდა მოვილაპარაკოთ. იცით, რის შესახებ?

ვალოდია. ჰო, ჰო, მარს....

მარსი. ვიცი, ვიცი (სჩანს, თუ რაგარ ენათება სხვებში სინათლე). ეს საკითხი, ამხანაგებო, მეტად სერიოზულია, და ვიდრე გადაწყვეტდეთ, საჭიროა კარგად მოფიქრება.

წითური. რას ამბობ, მარს? ჩვენ გვეგონა, რომ საკითხი უკვე გადაწყვეტილია, და შენ მხოლოდ ახლა აპირებ გადაწყვეტას?

მარსი. შენ კარგად იცი, წითურო, რომ მეც გულიანად მოვიკიდე ხელი ამ საქმეს, როგორც შენ, მაგრამ მაინც საჭიროა მოფიქრება, რომ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავვარდეთ...

ვლად. გახსოვთ, ამხანაგებო, ამ სამი წლის წინად რომ ჩვენ შევძელით მთელ ფრონტზე გასვლა? შენ, წითურო, მაშინ ცხრა წლის იყავი, მე კი ათისა.

მარსი. მე თერთმეტისა....

მაია. რა კარგად გამოდის — 9.. 10.. 11. მეც ცხრა წლისა ვიყავი მაშინ...

ვალოდ. შენ მაშინ, მაია, სულ პატარა და ტუტუცი იყავი. ხომ კარგად გახსოვს, წითურო, კინალამ რომ დავიღუბეთ მაშინ. ახლა როგორ იყრ ის, რომ ორი-სამი დღე-ობით უპუროდ დავდიოდით!...

წითური. ის არ გახსოვთ, მთელი ერთი დღე რომ ლერწმებში ვიწვქით? ჩვენ გვერდით თეთრ-გვარდიელები დადიოდნენ და ჩვენ კი, როგორც მკვდრები, ისე ვეყარებით...

ვალოდია. ყველაფერი მახსოვს, წითურო. მაშინ ჩვენ გამოუცდელნი ვიყავით და იმდენი მოკითვინეთ, ავიტანეთ, ახლა კი ცოტა ჭკუა გვმარტებს.

მარსი. მეც მაგას ვლამაობა.

მაია. მეც... (სახლიდან ისმის ზარის ხმა, რომელიც გახმამად ეძახის ბავშვებს. ჭკუეუები თანდათან ახებებენ თავს თამაშობას და მიემართებიან სახლებსაკენ. ამ დროს სცენაზე უკვე სრულიად ბნელა და ბადის შუაგულს მდგომი ფანარს ანთებენ. სახლიდან ისმის ხმაური, ხუმრობა, სიცილი, სიმღერები).

ვლად. ამხანაგებო, ჩვენ უნდა წავიდეთ... და ეცადეთ, რომ არავის ყურადღება არ მიიპყროთ, თორემ მთელი ჩვენი გეგმები დაიფუშება.

მარსი. ტრიბუნი!

წითური. ეგ საკითხია...

მაია. რა ტრიბუნი!?. ის შინაურია, იმან შეიძლება გაიგოს.

ვლად. როგორ თუ საკითხია? ტრიბუნი კომკავშირელია. არა თუ შეიძლება, საჭიროც არის გაიგოს, აი, ნახავთ თქვენ, ტრიბუნი კიდევ დაგვეხმარება...

მარს, წითური, მაია. სწორია, სწორე... (მიდიან, ვალოდია წითურს ბუჭებს სცენის).

ვალოდია. წასვლის დროა, წავიდეთ (მღერის „ჩვენ ნორჩი გვარდია ვართ“, მიდიან. სცენა ზატარა ხანს ცარიელაა, მხოლოდ სახლიდან ისევ მოისმის ხმაური, სიმღერა, მუსიკა, მანდალინა, ბალადაიკა. მუსიკა ახლოვდება. სახლიდან გამოდის სხვადასხვა წლოვანების ბავშვთა ჭკუეუი, რომელსაც რამდენიმე ბავში მოყვდვის მანდალინებით ან ბალადაიკებით ხელში. რამდენიმე ხანს რჩებიან სცენაზე, მღერაინ, ცეკვებენ და გადას, ისევ დაკვირვით, მერე მხრათ,

სასურველია ამ დროს ან ბუნჯაღის ტყე-ლით, ან რომელიც სანთლებით განათდა. სახლიდან კიდევ სამი-ათხი ჭკუეუი გამოდის. ზოგი ხელიხელხკიდებული სეირნობს, ზოგი მღერის, ზოგი მუსიკის ხმაზე ცეკვავს... ხანდახან ერთმანეთს გადასცხებენ ხოლმე. ხელში ზოგიერთებს ზატარა ფანრები უჭირავთ).

I — შეხე, როგორ ანთია ჩემი სანთელი.
II — მე კი მთელი ცეცხლის ზღვა მაქვს.
III — კიმ, დაუარე შენებურად და ერთი იცეკვე. (კიმი ცეკვავს).

I — დღეს ძალიან კარგია...
III — შეხედე, ერთი შეხედე, როგორ უვლის კიმი (მორიდან ხმა: „ვარსკვლავი მოსწვდა“!)

II — უფრო ხილდი, რომ ვარსკვლავი თავში არ დაგეცეს (უკვლახი იტანაან. მორიდან ისმის „აჟ—აჟ“... სახლიდან ისმის ზარის ხმა).

I — აი, სულ ასე არის. დაიწყებ თუ არა მაშხალების აშვებას, ან კოცონის ანთებას, მაშინვე დასაძინებლად დაგიძახებენ...
II — ეი, ეი, რა გული გააწყალეთ ზარის რეკვით...

I — ახლავე... მივდივართ. (ჭკუეუები ბრუნდებიან სახლში. რამდენიმე ხანს კიდევ ისმის ხმაური და ბოლოს სულ სწყდება... რამდენიმე წუთს სცენა ცარიელაა. სიჩუმე. სახლის ჩრდილში ფრთხილად მოიპარება ვიღაცას ღანდი... მოიბრუნს ნაშენთან. შეშინებული აქეთ-იქით იტყარება. ეს მაია არის. უურს უგდებას).

მაია. ისინი ჯერ არ მოსულან... საცაა მოვლენ.

(მოსახანს ვაღდღიას და მარსის სიღუეტე-ბი, რომელნიც ფანჯრებიდან ძვრებიან, შერე კიბეებსე უშვებიან-ერთი-ორი ნახტომით. ვაღდღიას და მარსი ფრთხილად იტყარებიან ირგვლივ, მოიპარებიან, როგორც აჩრდილნი. ერთდებიან ფანარს, რომ ხინთაღეზე არ მოხვდენ; მიდიან იქ, სადაც მაია არის).

მაია. (ხურჩულით) ვალოდია!.. წითურო!..

ხმები. (ხურჩულით). არა... ეს ჩვენა ვართ — მარსი და ვალოდია... მაია, შენა ხარ?.. დიდი ხანია?

მაია. ეს არის ახლა...

მარს. წითური?.

მაია. არ ყოფილა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალოდია. ტრიბუნნი?
მაია. ახლავე მოვა.
 (ისმის ჩუმი სტეკენა. ვალოდია სტეკენითვე უხასხებს).

ვალოდია. წითური გვეკითხება, შევიკრიბებით თუ არა?
 (ვიდაც წაიქცა. ხმა „ვაი“. იტინიან უკვლახნი ჩუმად. მათ კატკობით უხსლოვდება წითური).

ყველანი. რა ამბავია შენს თავს, წითურო... როგორ მოგივიდა?..

წითური. (აჯვანებს) როგორ მოგივიდა!.. როგორ მოგივიდა!.. წავიქეცი და ისე მომივიდა... ტრიბუნნი სადღა? აგერ ისიც მოდის.

(ტრიბუნნი სხსლიდან გამოდის, მხრებზე ტყავის კურტა; აქვს გადაკლებული. ის აუჩქარებლად უხსლოვდება შეკრებულკებს. ჯდება. უწელებანი კარს უხსდებიან).

ტრიბუნნი. სოკვით, აბა, რასაიდუმლო საქმე გაქვთ! ჩვენ ყველას ისეთი სახე გვაქვს, თითქოს რაღაც შეთქმულებას ვაწყობდეთ. მარს!
ვალოდია! მაია! რა ამბავია? წითურო!

მაია. წითური ფანჯრიდან გადმოხტა და წაიქცა (იტინის).

მარსი. აი, რა ამბავია. ჩვენ ჩავიფიქრეთ ერთი საქმე და ახლავე გაიმობთ.

ვალოდია. უკეთ რომ ვთქვათ, ტრიბუნო, ჩვენ უკვე ნახევრად გადაწყვეტილი გვაქვს, მაგრამ შენი რჩევა მაინც გვქარბდება.

ტრიბუნნი. შენ ამბობ, ნახევრად? კარგია. ნახევარი, მაშ, მეცა მრჩება. ძალიან კარგი, მაგრამ რა არის მაინც მაგისტანა საიდუმლო? მაინც რანაირია ის ჯოჯოხეთური გეგმა, რომელიც თქვენ ჩავიფიქრებიათ!

წითური. მე გაიმობდნი, მაგრამ მე ფეხი მტკივა.

ტრიბუნნი. როგორ, შენ ფეხებით ხომ არ ლაპარაკობ?

წითური. როგორ არა. შენ ეგრე გგონია...

ვალოდია. ვიდრე ჩვენ ყველაფერს დაწვრილებით გაიმობდეთ, სიტყვა უნდა მოგვცე, რომ ახსად კრინტს არ დასძრავ ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ... ისე ჩააგდე, ვითომ ჩვენ დღეს შენთვის არ დაგვიძახნია და შენ არაფერი არ იცი.

მარსი. შენ რომ სადმე ხმა ამოიღო, ან ვისმეს ავრძნობინო, სულერთიანად ჩაიფუშება.

ტრიბუნნი. ბოლოს და ბოლოს არ იტყვი, რა ამბავია? კარგი, გაძლევთ სიტყვას.

ვალოდია. იძლევი სიტყვას?

ტრიბუნნი. ვიძლევი.

ვალოდია. მაშ, მოისმინე გულდასმით.

მაია. ყური დაუგდე, ტრიბუნნი!
ვალოდია. შენ ხომ იცი, ტრიბუნ, რომ საცაა დადგება ოქტომბრის დღესასწაული.

ტრიბუნნი. რასაკვირველია...

ვალოდია. ჰო-და, ჩვენ დიდი მხიარულება, დღესასწაული გვექნება... ალღუმი, წარმოდგენები, ბავშვებისათვის გამართული იქნება სხვადასხვა გასართობები. გახსოვს, შარშან როგორ იყო? დასასრული აღარ ექნება ჩვენს ზეიმს.

ბაირაღები! ღროშები! მერე ჩვენ საჩუქრები დავგირიგეს. ყველა საზეიმო ტანისამოსს იცვამდა, ჩვენც ჩავიცვით ახალი ხალათები. იმდენი ორკესტრი იყო, რომ საცა უნდა გაგვეხედნა, ყველგან მზეზე ლაპლაპებდნენ სპილენძის მილები. ჩვენ მაშინ ისე მოვიქანცეთ, რომ როცა ჩვენ დაგვიძახეს რაღაც წარმოდგენაზე და ცირკში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ამას მოუთმენლად ველოდით, მაინც საშუალება არ გვქონდა ადგილიდან დაძვრისა.

მარსი. ხო, ვალოდია, გახსოვს, ავტომობილით რომ ვსეირნობდით?

ვალოდია. მე აეროპლანითაც კი ვიფრინე ჩვენს საპატიო პიონერ პეტროვსკისთან.

ტრიბუნნი. მართლა?!

ვალოდია. ხო, ტრიბუნ! ოი, ოი, რო გენახა, რამდენი ხალხი იყო იპოდრომზე.. მე, მარსმა და წითურმა მაშინ მივართვით ჩვენი რაზმის საპატიო ნიშანი ძია პეტროვსკის. მაშინ ძია პეტროვსკიმ აგვიყვანა აეროპლანში და სულ შემოვიფრინეთ მთელი მთები.

ტრიბუნ, არ ყოფილა ისეთი გასართობი, რომ არ გამოგვეცაუნა იმ დღეს. მე მგონია, რომ ის დღე ჩვენ—მე, მარსს და წითურს, არასდროს რა დაგვაფიწყდება.

მაია. ვალოდია, მერე საშიში არ არის აფრენა?

წითური. აი, მე გადაფრინდი ფანჯრიდან და ფეხი ვიტკინე, ვალოდიას კი სავარძელში რა ეტკინებოდა...

ვალოდია. (განავრძობს)... ამასწინეთ ჩვენ ვავიხსენეთ მთელი ჩვენი წარსული და მაიას ერთი აზრი დაებადა: ნეტა როგორა ცხოვრობენ სხვა ქვეყნებში—საფრანგეთში, გერმანიაში? იქ ჩვენს ამხანაგებს ხომ არა აქვთ არავითარი გასართობები, აი, ხომ



კითხულობთ გაზეთებში, რომ იქ არამც-
თუ სახლებს აშენებენ მუშების შვილები-
ბისათვის, ზოგიერთ სკოლებში სწავ-
ლებლადაც კი არ უშვებენ.

ტრიბუნი. კი, ვალოდია, შენ მართალი ხარ, არ-
სად არ აშენებენ ისეთ დასახლებებელ სა-
ხლებს ბავშვებისათვის, როგორც ჩვენში.
ეგ ადგილი ასახსნელია: აბა, ვინ უნდა
იზრუნოს იქ მუშების შვილებისათვის?!
ჩვენში ეს ბუნებრივია. რათა ხდება ეს ასე?
იმიტომ, რომ სახელმწიფოს თვით მუშე-
ბი და გლეხები უდგანან სათავეში და
ზრუნავენ თავისი შვილებისათვის. ეს ყვე-
ლაფერი კარგი. მაგრამ მე მაინც ვერ გა-
მიგია, თუ რა ჩაიფიქრეთ.

ვლოდია. აი, რა ჩაიფიქრეთ, ტრიბუნ! ნავთ-
სადგურში სდგას გერმანელების გემი, რომ-
მელსაც პურითა ტვირთავენ გერმანიაში
წასაღებად. რამდენიმე ხნის შემდეგ წავა
აქედან. მე მაიას, და მარსს ამ გემით გვინდა
გერმანიაში წასვლა; და როცა აქ გაიმარ-
თება დღესასწაული დიდი ოქტომბრისა,
მაშინ ჩვენნაირვე გერმანელ მუშის შვი-
ლებს მივუძღვნით წითელ დროშას... (სი-
ჩუმე).. ჩვენ შეუმჩნეველად ავიპარებით
გემზე, ჩავძვრებით გემის ძირში და ასე
ვადავალთ გერმანიაში. ჩვენ მხოლოდ საქ-
მელ-სასმელის მომარაგება გვჭირდება. ჩვენ
ბევრი წავვიკითხავს იმის შესახებ, რომ
ბევრ პოლიტიკურ მებრძოლს უმოგზავრ-
ნია ასე...

ტრიბუნი. აი მაგას კი არ მოველოდი!. მაგრამ
რას იზამ... შეგიძლიათ იქონიოთ ჩემი
იმედი.

ვალოდია. ხომ გეუბნებოდით?

მარსი. მეც ასე ვფიქრობდი, რომ ტრიბუნი
ჩვენთან არის და ჩვენი მოკავშირეა.

მაია. ტრიბუნ! რა კარგია, რომ შენ ჩვენი
მომხრე ხარ! ახლა ერთი-ათად მომემატა
სურვილი სწავლისა...

წითური. წადით, წადით და აქ მე და ტრიბუნი
წავიკითხავთ, თუ როგორ დაგიჭერენ და
ყურებს ავიწვევენ.

ვალოდია. ყურებს ავიწვევენ?! ვერ მივართვი!

მარსი. ხელები ეტკინებათ!

მაია. წითური ხუმრობს, მას თვითონაც არა
სჯერა, რასაც ამბობს. ჩვენ ჩვენი უფრო-
სი ძმები—მუშები—მოგვეხმარებიან...

ტრიბუნი. როდის მიდის გემი?

ვალოდია. ორი კვირის შემდეგ, შაბათს!

ტრიბუნი. რითაც შეგიძლებ, დაგეხმარებები?
დაეციოთ სალამი ჩვენს გერმანელ ამხანა-
გებს და უთხარით, რომ ჩვენ ველით...

ყველანი. (აწვევტილებს ტრიბუნს) ყველაფერს გა-
დავკემთ.

ტრიბუნი. (განზე, შუბლზე ხელს შემოაკრავს) დიდ-
ბული აზრია! რათაც არ უნდა დაჯდეს,
უნდა განეხორციელოთ. (ამხანაგებს) ისი-
ნიც ჩამოგვიყვანეთ აქ.

მარსი. ჩამოგვიყვანეთ, მაშ! სწორედ პირველი
მაისისათვის, რომ ნახონ, როგორ ვსწავ-
ლობთ, როგორ ვმუშაობთ და ვცხოვ-
რობთ ჩვენს რესპუბლიკაში.

ვალოდია. გმადლობთ, ტრიბუნ!

მარსი და მაია. გმადლობთ, გმადლობთ!

ტრიბუნი ჩუმად, - ჩუმად, თქვე...

ვალოდია, მაია და მარსი. ჩვენ ახლა არავისი არ
გვეშინია... (დგებიან და ისევე ჩუმად მი-
ზარებიან სახლისაკენ. ისმის ჩურჩული) მიე-
ღივართ... მივდივართ... მივდივართ...

ფარდა.

მეორე სურათი

სტენა წარმადგენს ოკეანის საზარგა გე-
მის ტრიუმს. იგი შუაზე გადატარებულია;
კედლის შუა კარია. ერთ მხარეზე სდგას ყუ-
თები, მეორეზე მიურდია ტომრები. ჭერი
ზოგან ჩამოხსნილია. შუა ჭერში კვადრატული
სახსთურია. აქედან ჩამოშვებულია ბაწარი
სდგას კიბე. ცუდი განათებაა, მაგრამ უკვლავ
ფერია სხანს. კედლის გასწვრივ ერთ ხაზზე
თანასწორ მანძილზე ელექტრონის ღამფები,
მარჯვნივ, მეორე განყოფილებაში, სდგას სამი
დიდი და რამდენიმე პატარა ყუთი. იქვე ცა-
რეული ტომრებია. როგორც ფარდის სხდისას,
ისე მთელი მოქმედების დროს ისმის განუ-
წყვეტელი ერთგვარი ხმა ჭახხაკის. შორიდან
ხანდახან ისმის, თუ როგორ ეხეთქება ზვირ-
თები გემს. ფარდის სხდის შემდეგ სტენა ცა-
რეულია. ხმაურება გარკვევით ისმის.

ვალოდია. (გამოჭყოფს თავს ერთ-ერთი ყუთიდან—
სხანს მარტო თავი) მგონი არავინ არის...
მარს! ა, მარს! მაია!

(მარსი და მაია გამოჭყოფენ თავებს ყუთე-
ბიდან).

მარსი. ძალიან არ გავძელით, ვალოდია, ამ
ყუთში?



მაია. სწორედ ვერ გავიგე, გვარყვეს გემი თუ არა. როგორ გგონია, ვალოდია, ვმოდრობთ თუ არა? ზოგჯერ ასე მგონია, მივექანებით შურდულივით, ზოგჯერ კი თითქოს გაჩერებული ვართ ადგილზე...

მარსი. ეს იმიტომ არის, მაია, რომ ჩვენ ასე არასოდეს არ გვიმგზავრია. რამდენ რამეს ვუაბობობ ჩვენებს ჩვენი მოგზაურობის შესახებ.

მაია. ტრიბუნის თითქოს ნაწყენი იყო მანამდე, მაგრამ შემდეგ რაღაც მოისაზრა და გამხიარულდა.

ვალოდია. — მართალია, ეს მეც შევნიშნე. (შორიდან ისმის ხმა და კაკუნის ხმა). (შორიდან ისმის ხმა და კაკუნის ხმა). (შორიდან ისმის ხმა და კაკუნის ხმა).

მარსი. (რამდენიმეჯერ ამოქუფავს თავს და ჩამოაქვს). უკვე შეიძლება.

ვალოდია. (ამოქუფავს თავს) სწორედ ვერ გავარკვეე, რას რეკავენ ხან სამჯერ, ხან ხუთჯერ, შემდეგ ისევ ორჯერ! ვერაფერი ვერ გავიგე.

მაია. ეს საათი რეკავს...

ვალოდია. ვიცი, რომ საათია.

მარსი. აქ გემზე ყველაფერი თავისებურია... — უცებ დაიბნევი კაცი.

ვალოდია. იცით, როგორ ხდებიან მებღვაურად? ისინი მთელ თავიანთ სიცოცხლეს გემზე ატარებენ. ჯერ იუნგებად, შემდეგ იმათ ასწავლიან და მებღვაურები ხდებიან. ისინი, რომელნიც უფრო ნიჭიერი არიან, მე წამიკითხავს, რომ ზოგიერთი მბღვაური და ზოგიც კაპიტანი და მესაკუთრები გადმოდის მებღვაურების დასახლებაში.

მარსი. ჩემი ოცნება მუდამ ის იყო, რომ მებღვაური გავმხდარიყავი.

მაია. მეც ძალიან მომწონს მებღვაურობა.

ვალოდია. განა შეიძლება, ქალი მებღვაური იყოს?

მაია. რა ვუყოთ, რომ არ არიან. მეც ხომ თქვენთან წამოვედი. რათ არ შეიძლება, მეც მებღვაური ვიყო?

მარსი. დამშვიდდი, მაია, დამშვიდდი. შეგიძლია, აი ჩველათ და თუ კარგად დაიჭირე გამოცდა, პირდაპირ კაპიტნობას მოგანიჭებთ.

ვალოდია. ამხანაგებო! მე მეტი არ შემიძლია ჩემს კაბინეთში ვიყო. გავივლ-გამოვივლი და გავმართავ სხეულს.

მარსი. ესეც რომ არ იყოს, საჭიროა დავზვე-

როთ. მთელი დღე-ღამეა, მგონივრად ვარტყვით ვართ.

მაია. შენ საიდან იცი?

მარსი. ეს ნამდვილია. ამ დაწყებული ზარებიდან ვერაფერს გაიგებ. (სამიჯერად ნელ-ნელა ამოძვრებიან თავიანთ ყუთებს).

მარსი. (იზმობებს)... უჰ, როგორ დავიტანჯე ამ გალიაში.

ვალოდია. (ისიც იზმობებს) რა კარგია, რომ წამოვიღე სანათი და რამოდენიმე ასანთი. ეს მე გამოცდილებით ვიცი.

მარსი. ჰო, ეს შენ კარგად ჰქენი!

მაია. მეც წამოვიღე სანათი.

ვალოდია. ნუთუ?

მარსი. ყოჩაღ, მაია!

ვალოდია. აბა, ამხანაგებო, დავთვალე, რა და ვინ არის ჩვენს გარშემო. დიდხანს გვეძინა. მე მგონი, უკვე დილაა. უნდა ვიცოდეთ ბოლოს და ბოლოს, თუ სად მოვეწყვეთ. მერე ვისაუზნოთ — ძალზე მშვიდი ვარ.

მაია. ეს რა არის იქ?

მარსი. კარის მსგავსია.

ვალოდია. თქვენ მოიგონეთ, თუ როგორ მოვდიოდით. ჩვენ ჩამოვდიოდით რაღაც კიბეებით ქვევით.

მაია. ეს მეც მახსოვს...

ვალოდია. შენ მოითმინე. ჩვენ მერე გავიარეთ დერეფანი, მივადექით უცნაურ მალღობს, იქიდან ჩამოვედით, შემდეგ გავიარეთ ბარგის ახლოს. იქვე ეყარა ტომარები, მგონი ფქვილით.

მაია. რათ გგონია, რომ ფქვილით?

ვალოდია. შენი კაბა გასვრილია ფქვილით და მბღვაურების იმიტომ.

მაია. (დაიხედავს კაბაზე) მართალია.


ვალოდია. მართალია, მაშ! მე-კი, როგორც შერლოკ ჰოლმსი... შემდეგ მარსი წაედვა რაღაცს რკინას. გახსოვს, მარს?

მარსი. როგორ არა. მე კიდევ სულ გაფრთხილებდით, რომ თქვენც არ დაცემულიყავით.

ვალოდია. როცა ავანთეთ სანათი, აი ეს კარი ვნახეთ. მას წავედევით ჩვენ.

მარსი. მე წავედვე და ეს კი „კუმ ფენი გამოჰყო. მეც ნახირ-ნახიროა“. ძმობილო, სიამოვნებით დავითმობთ. (იღინის. ვალოდია და მაია იღინიან).

ვალოდია. რასაც ჩვენ წავედევით, ეს მაღალი ცალიერი რაღაც იყო. მე სადღაც წამიკითხავს,





რომ ტრიუმფში ისეთი რკინის კარია, როგორც ფანჯარა, იატაკიდან მაღლა (სამი-ვენი სანათებთა დადას).

ვალოდია. (წამოყდება ტომასს) ეს გეგმაში არ შედის. ეს რა არის? (დაიწკვავა) მგონი შაქარია. შემდეგ გავესინჯოთ. გამოგვადგება: შაქრიანი წყალი დავლიოთ. (განავრძობენ სიარულს).

მარსი. სსს... სსს... ჩუმად, ამხანაგებო! მე ხმაურობა მომესმა (შეხრდებიან).

ვალოდია. რაშაა საქმე!

მაია. არაფერი არ არის.

ვალოდია. წავიდეთ (მიდის. ისმის სანათის რეკა).

მარსი. ისევ. ნეტავ ვიცოდეთ... ხომ უფრო მშვიდად ვიქნებოდით.

მაია. ახლა რა გაწუხებს.

მარსი. არაფერიც არ მაწუხებს, მაგრამ მინდა ვიცოდეთ, გამოვერკვიო.

ვალოდია. არა უშავს რა, მარს, მგზავრობას რომ დამთავრებ, მაშინ ვაიგებ. (მადგებიან კუდებს) შეჩერდით... მოვედით. კედელია. სად მოგეჩვენა, მაია, შენ, კარი?

მაია. მე მომეჩვენა, თითქოს სადღაც აქვე იყოს.

ვალოდია. (გაჰყვება კედელს) ჯერჯერობით კარი არ სჩანს... აი, აგერ!! ახლა როგორ გავალოთ (მიუნათებს სანათს).

მაია. აბა, ახლა კიდევ მიანათე შენი სანათი (მაია მიანათებს თავის სანათს).

მარსი. კარი იქით იღება? შეხედეთ, ვალოდია, ბოქლომი ხომ არ აღევს? ეგებ გასაღები უნდა?

ვალოდია. არაფითარი ბოქლომი არ არის... რაღაც უცნაურია... უგასაღებოდ. მარსს, დაიჭი სანათი (გადასცემს სანათს მარსს) ვეცდები გავალო (მთელი ტანით მიაწვეს კარებს, ცდილობს გაადოს) არაფერი არ გამოდის. აბა, ერთხელ კიდევ ვცადოთ... ეშმაკმა იცის ამის თავი, თითქოს დალურსმულია... აბა, ახლა შენ სცადე, მარს, მე დავიჭერ სანათს.

მარსი. მოშორდი, მაია, შორიდან სირბილით დავეჯახები (მომოხრდება რამდენიმე ნახტომით, შემდეგ სირბილით დაეჯახება, ცდილობს მხრით გაადოს. მხარი ძლიერ ეტკივნება, მაგრამ არ იმჩნევს) ოი! ოი! (იღინის).

ვალოდია. იცი, რა, მარს! მოდი ორივენი მივაწვეთ.

მაია. რა არის, აქა ვართ და ვერაფერს ვერ დავათვალიერებთ.

მარსი. შეიძლება თქვენ, მაია, აი, როგორ გიწოდეთ მაშინ სახელი? მაია სერგოს ასული, თუ პანტელეიმონის...

მაია. არც როგორ.

მარსი. მაშ კარგი—„არც როგორ“. შეიძლება თქვენ გსურთ დაათვალიეროთ გემი? ეგებ სადილი ინებოთ? რას მიბრძანებთ მოგართვათ?

ვალოდია. ნუ ხუმრობ, მარს, საქმე გვაქვს. უნდა გავიდეთ სხვა სადგომში. ეს კი რასა ჰგავს, ტუსალებივით გალიაში ვზივართ.

მარსი. მოდი, ძმობილო, ორივე ერთად მივაწვეთ.

ვალოდია. მაია, დაიჭი სანათი (აძღვეს სანათს).

მარსი. აბა, უცებ, ერთი... ორი... სამი... (ორივენი ერთად მივარდებიან კარებს. კარი უცხად იღება და ორივენი ეტკივან ტომრებს. მაია უნათებს იმათ ორივე სანათით და ხმამაღლა იცინის. მარსი და ვალოდია ერთი-მეორეს შინადაშირ წვანან და იცინიან)

მარს. კარგია?

ვალოდია. კარგია!

მარსი. (იფხანს თავს) ყოჩაღ.

ვალოდია. (ისიც იფხანს თავს) ყოჩაღ.

მარს. არ ავდგეთ?

ვალოდია. ავდგეთ! (ორივენი განავრძობენ წოდებს).

მარსი. რატომ არ დგები?

ვალოდია. შენ თვითონ რატომ არ დგები?

მაია. მეც თქვენთან დავწვე?

მარსი. წავიდეთ?

ვალოდია. წავიდეთ (ისევ წვანან, ეუკლანს იცინიან).

მაია. აბა: ერთი, ორი, სამი... (ვალოდია და მარსი წამოხტებიან).

ვალოდია. იცით რა—ეს სადგომი, როგორც სჩანს, უფრო დიდი და ნათელია (ხედავს ზეკიდან ჩამოკადებულ ბაწარს) შეხედეთ, მაია!.. მარს, უყურე,—რაღაც ბაწარები ჰკილია.

მარსი. რა იქნება, რომ ამ ბაწარით ავეყოცდეთ ზევით და ვნახოთ, რა ამბავია.

მაია. მარს, ჩვენი გუშინდელი კიბე კი არ სჩანს.

ვალოდია. აბა, მარს, სინჯე ზევით ასვლა! (მარსი მიძვრება ზევით ბაწარით).

მაია. (ვალდიას) რომ დაიჭირონ იქ?

ვალოდია. აგრე აღვილად ვერ დაიჭირონ მარსს (უცდიან რამდენიმე წუთს, ისმის სანათის რეკა. მარსი ბაწრიდან მოცოცავს ქვევით, მაგ-

რამ არ ეცემა. მაია და ვალოდია არ აცდიან ერთმანეთს, მაუთუმენლად კეითხებან).

ვალოდია. რა ნახე?

მაია. რა ნახე?

მარსი. იცით რა, ამხანაგებო?! მე გარკვევით მომესმა ვილაყას ხმა და დავინახე მზის შუქი. მაშასადამე, ახლა დღეა.

მაია. რას ლაპარაკობდენ?

ვალოდია. ო, მართლა რას ლაპარაკობდენ?

მარსი. მე კი ვერ გავიგონე სიშორის გამო.

ვალოდია. სამწუხაროა! ძალიან საინტერესო იყო.

მარსი. არა უშავს, ვალოდია, ადრე თუ გვიან გავიგებთ (შეხედუებან). იცით, მე რას ფიქრობ? ვნახოთ, რა არის ამ ტომრებში და ყუთებში, საინტერესოა.

მაია. ჩავდრეთ, ვალოდია.

მარსი. კარგი, ჩაძვრით.

ვალოდია. თუ გინდათ, ვნახოთ. (ჩაძვრებიან—ზოგი ყუთში და ზოგიც ტომრებში, სხნათები იატაკზე სდგას).

მაია. ოჰ, მეშინია ჩამოვვარდე.

ვალოდია. წყნარა, თორემ მარსს ხომ ესმოდა მათი საუბარი, ჩვენსასაც გაიგონებენ. ოჰ! კინალამ ჩამოვვარდი.

მარსი. შენც, ვალოდია?

ვალოდია. მეც.

მაია. ამხანაგებო, აქ რალაც პატარა ყუთებია.

ვალოდია. ფრთხილად, არ დეცე.

მაია. სულ არ არის მძიმე.

მარსი. მაგრად არის დაჭედელი?

მაია. მგონი კი (მაია აცდვიალებს ყუთს, ცდილობს გააღოს)

ვალოდია. ვაშა, ვაშა, ამხანაგებო. რა ვიპოვეთ! უ, ახლა ჩვენ შეგვიძლია მთელი წელი ვიმოგზაუროთ: სურსათი ჩვენ კი არა, მთელ ლაშქარს ეყოფა. რა კარგია!

მაია. რა ნახე?..

მარსი. რა არის?

ვალოდია. მე ბნელაში ვერ ვარჩევ, მგონი კონსერვის ყუთებია—შავ რა არის, არ ვიცი!

მაია. (შეჭკივლებს და ყუთით ხელში ეცემა ტომრებს. რადესაც იატაკს დაწვდება, ყუთიდან გამოვარდება ზატარა ყუთები რძით).

ოჰ! ვეცემი, ვალოდია, მარს.

(ვალოდია და მარსი შეხედავენ და იცინიან).

ვალოდია. არა უშავს-რა, მაია!

მარსი. შეხედე, ვალოდია, მგონია რძიანი ყუთებია.

ვალოდია. ო! მაროლა! საიდან? გრცხვენოდეს, მაია, რომ დაგიძლიო!

მაია. თქვენთვის სასაცილოა?

მარსი. შენ რა გული მოგდის? იტკინე რამე, მაია?

ვალოდია. არა უშავს-რა, მაია, გერმანიაში ჩასვლამდის მოვირჩება.

მაია. შენ საიდან იცი? (ისმის ხმაურება).

ვალოდია. სს-ს... ვილაყ მოდის.

მარსი. გვიახლოვდებიან!

მაია. (წამოხტება) სულ გვიახლოვდებიან... სსს (შეშფოთებული იხილავს აქეთ-იქით მიჭურბან ტომრებს და ყუთებს).

ვალოდია. მარს! ჩქარა ჩამოდი.

მარსი. (ჩამოდის) ნიძლავს დავდებ, აქეთ მოდიან.

ვალოდია. მაია, სანათი...

მარსი. ვალოდია! ჩქარა! (ხმა ახლავდება).

მაია. მარს! ვალოდია!

ვალოდია. მარს, მომეხმარე, ჩემი ყუთი...

მარსი. მაია, გამინათე..

მაია. არ მცალია, გენახავენ.

მარსი. ნუ გეშინია, აგრე უცბად თავზე კი არ დაგვეცემიან. მე ვხედავდი იმათ.

ვალოდია. საიდან შემოვლიან?

მარსი. ან ბაწრით...

ვალოდია. რანაირად, როგორ?

მარსი. კიბე უნდა მიადგან.

ვალოდია. (იძვება განკარგულებას) დროს ნუ ჰკარგავთ—ჩვენ სადგომებში... მაია! წინ! გავგინათე გზა.

(მიდიან ყუთებისაკენ. მაია წინ. ორი სანათით ხელში უნათებს გზას. რადესაც ისინი შევიდნენ თავიანთ განყოფილებაში, მარცხნივ სადგომში, იქ, სადაც წელი ვალოდია, — მაია და მარსი დაძვრებოდნენ ყუთებში, ზვეთა სხნათურიდან ჩამოეშვება კიბე. ვალოდია იჭვრიტება ყუთიდან. უკან უდგან მარსი და მაია. ისინიც ცდილობენ დაინახონ. მას შემდეგ, რაც კიბე ჩამოეშვა, ისმის საუბარი, მაგრამ არაფერს სჩანს. თანდათან გარკვეულად ისმის ხმები.

1 ხმა—ზნად არი?

2 ხმა—არის!

1 ხმა—ჩადი!

(კიბით ჩამოდის შუახნის მატროსი. შეხედება და გარშემო იჭვრიტება).

მატროსი. კარგი სთავურია! სწორედ არ ვისურვებდი აქ ლამის გათევას. როგორც ჩვენ კაპიტანის თავში, ისე ბნელა... მაინც... არ მისმის რა შიშა საშინაო დიდოსამართლებელი

დაწყობილი იყო, როცა დავტვირთეთ...

(გადადგამს რამდენიმე ნაბიჯს. ფეხქვეშ მძუკვება რძიანი ყუთი) ეს რა არის? (აიღებს) რძიანი ყუთი! საკვირველია... საიდან!... თითქოს აქ ვინმე დიასახლისობდა... საინტერესოა! (ათვალიერებს ტომრებს და ყუთს მხრების წყვილთ). ვასაკვირია! (აღის ყუთი-ზე) ოჰ! კადევ რა! ყუთი კონსერვით? თანდათან საინტერესო ხდება (იმ დროს, როცა მატროსი თავისთვის ბუტბუტობს, ვალოდია, მარსი და მათა ერთმანეთს გადასვლას და რაღაცას ანაწილებს). აქ, ეჭოპა, სერიოზული თავგები დიასახლისობდენ... ვნახოთ!.. საჭიროა უფრო კარგად გავანათო (შივა კუთხესთან და ანთებს რამდენიმე ღამის ელექტრონისს. მარცხენა მხარე ნათდება) ექვს გარეშე... ვილაყ ყოფილა...

ვალოდია. (თავისი ადგილიდან) ახლაყ არის...

მატროსი. ეტყობა, ვილაყას ჭამა მონდომებია.

მარსი. (თავისი ადგილიდან) მშიერი ხომ არ ვიქნებოდით...

მატროსი. ხორცის კონსერვები...

ვალოდია. (მამართავს მარსს და მათს) ოჰ, თურმე ხორცის კონსერვებია, ჩვენ არც კი ვიცოდით...

მატროსი. ტკბილი რძე!

მაია. ჩვენ კი უბრალო გვეგონა ..

მატროსი. ვინ გადასწყვიტა ესაუზუნა?

ვალოდია, მარსი და მაია (ერთად) მეორე კოლექტივის მე-3 რგოლის პიონერებმა.

მატროსი. რა? თითქოს-და ვილაყამ რაღაც წარმოსთქვა ..

(შივის კარისაკენ. ვალოდია და მარსი მივარდებიან თავისთ ყუთს, სდგამენ ძირით კარისაკენ და თავითან იმჯლებთან შივ. მათა ჩადის ცრაილ ტომარში, რომელიც ყუთთან ახლავს).

მატროსი. (შივა კართან) ასედაყ არის, როგორც მე მეგონა. მაგრა მიფხურე კარი და ახლა კი ისე არ არის. (გადადგამს ნაბიჯს, შუდის მარჯვენა განუთფილებში, რადესაც მიუახლოვდება ვალოდიას ყუთს, ვალოდია ყუთით დაიხვევს უკან).

მატროსი. (ჯერ გაკვირვებულია, შემდეგ ჩაწიფებს ჯიბეებში ხელს, ხმამაღლა იცინის) 35 წელი ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე და ჯერ არ მიწახავს, რომ ყუთი დადიოდეს! საინტერესოა.

(ამ დროს მარსიც გადადგამს რამდენიმე ნაბიჯს ყუთით). ვა! აქ ყველა ყუთები ცო-

ცხალია! მიკვირს, რომ ტომრებიც დადიან (ამ დროს მათა ტომრებიც დადიან) ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ტომარს დგას)

მატროსი. ხა, ხა, ხა! აქ ყუთებს და ტომრებს მშვენიერი ბალეტი გაუმართავთ! მარტო მუსიკა აკლია.

ვალოდია. (ყუთიდან) შეიძლება მუსიკაც.

მატროსი. რა? რა? (შივა დამდგარ ტომართან და ორი თითით აძრებს მათს ტომარს. ისე გაუკვირდება მატროსს, რომ ორი ნაბიჯით უკან დაიხვევს) გამარჯობა! ბონჟურ!!

მაია. ვაგიმარჯოთ, ამხანაგო.

მატროსი. (ათვალიერებს მათს, ან იცის, რა უნასუხისს) როგორ ცხოვრობთ?

მაია. გმადლობთ, ამხანაგო, მე კარგად. თქვენ როგორა ხართ?

მატროსი. (სულ განცვიფრებულია) მეც კარგად... (მატროსი მიუთითებს ყუთზე) იქაც ასეთებია?

მაია. ჰო! თითქმის ასეთებია...

მატროსი. უთხარით იმათ, ნუ ეშინიათ, გამოვიდენ.

მაია. ვალოდია, მარს (გადმოხაბრუნებენ ყუთს და შივ ჩადებენ).

ვალოდია და მარსი. გამარჯობათ, ამხანაგო.

მატროსი. (ათვალიერებს მათ) გამარჯობათ, გამარჯობათ... ეს თქვენ საუზმობდით?... კონსერვებით... რძით?..

ვალოდია. საუბედუროდ, თქვენ მოხვედით და ვერ მოვასწარით.

მატროსი. მაპატიეთ... მაპატიეთ... მითხარით, რამდენი წლისა ხართ ყველანი?

ვალოდია ჩვენ 39 წლის...

მატროსი. (თვალს იფშენებს) რამდენის? 39-ის?

ვალოდია. კი, ჩვენ 39 წლისა ვართ.

მატროსი. (გაკვირვებით მხრებს იწვეს).

ვალოდია. თქვენ ვერ გაიგეთ?..

მაია—12 წლისაა, მარსი—13, მე-14.

სუყველა ერთად—39 წლის.

მატროსი. აა! ვაგივე, რაში ყოფილა საქმე (იცინის). მითხარით, როგორი ტანისამოსია, რომ გაცვიათ?

ვალოდია. ჩვენი, პიონერების... ახალგაზრდა ლენინელების...

მატროსი. (მხარულად) ლენინელები?

ვალოდია. დიას! ჩვენ ლენინელები ვართ!

მატროსი. (უცხად შივა ახლავს მათთან, ჩამოართმევს ხელს. ეკვლანა მუგობრულად ათმევენ ხელს) უჰ! რა კარგია! რა კარგი! მე ძალიან მო-

ხარული ვარ... მე ერთი არ მესმის... მოდით, დავსხდეთ...

მაია. და ვისაუბროთ.

მატროსი. ძალიან კარგი.

ვალოდია. რატომ ვაგებხარდათ, ამხანაგო, აგრე?

მარსი. მომეცი დანა, ვალოდია, მე ვაგებხარდა ყუთს...

მაია. სადაა კიჭები? (ვალოდია ერთ-ერთ ყუთს სდგამს ძირით მადლა; სკამების შავიერობას უწყევნ ტომრება).

ვალოდია. მაშ აგრე, მგონი ყველას ადგილი გვაქვს...

მატროსი. რატომ ვამეხარდა?... თქვენ ახლოგაზრდა ლენინელნი ხართ... მე კი — ძველი. ჩვენ მეგობრები უნდა ვიყოთ.

მარსი. თქვენ კომუნისტი ხართ?

მატროსი. კი, მე — გერმანული კომპარტიის წევრი ვარ... მაგრამ მითხარით, როგორ მოხვდით თქვენ აქ, ან საით მიემგზავრებით?

მაია. ვალოდია, მოჰყევი...

ვალოდია. მე ვიტყვი მოკლედ. ჩვენ ღამე შემოვიპარეთ ტრიუმში, რომ გერმანიაში წავსულიყავით და გერმანელი ბავშებისთვის გადაგვეცა წითელი დროშა პირველი მაისის დღეს.

მატროსი. (ცოტა ჩაფიქრებული თავისთვის დახარაკობს) მეც მყავდა ვაჟი... მე წამიყვანეს ომში. დაბრუნებისას ვერ ვიპოვე (შიშართავს ზიონურებს) ყოჩაღ, ამხანაგებო! თქვენი საქმის კი არა, საერთო საქმის კეთილი დაბოლოებისათვის ვაშა, ვაშა... ვაშა...

ყველა ერთად. ჩვენს სასიქადულო საქმეს ვაშა!!! (ართმევენ ერთმანეთს ხეღს).

ფარდა.

მესამე სურათი

სტენა წარმოადგენს სკოლის ეზოს. მარცხნივ მოსჩახს სკოლა — რამოდენიმე ფანჯარა და კარი. მუყურებლების ზირდაზირ ამართულია მადლი გაღაფანი. ფარდის ახდამდე და ახდისას სტენის უკან ისმის ხმაურობა, რომელიც ხსნ შეწყდება და ხსნ გაძლიერდება.

ფრიც. ჩემმა ძმამ მითხრა, რომ დღეს არც ერთ ქარხანაში არ იმუშავენ... დღეს ყველა მუშები თავისი დროებით გამოვლენ ქუჩებში...

ანა. მე გავიგონე, თუ როგორ საუბრობდენ ჩვენი უფროსები, რომ დღეს მუშაობა

სირცხვილია... რომ ეს ჩვენი ღალატია...

ის მუშები, რომლებიც დღეს მუშაობენ ჩვენი ამხანაგები არ არიან... (სტენის ხმა)

ფრიც. დღეს არავინ არ იმუშავენ... (სტენის უკან ისმის გაძლიერებული ხმაურობა, „ინტერნაციონალი“. კარებში შემობრბის ბავში კარლ).

კარლო (მიუთითებს გაღაფანისკენ) მე ახლა დავინახე ფანჯრიდან... იქიდან მთელი პროცესია მოდის დროებით ხელში... და ბავშებიც.. პოლიციას სურს ხალხი გაკეთანტოს... (ამ დროს ისმის სრულად, ძხილი და სიმღერა).

ანა. გესმით? მუშებს... მუშებს... ესვრიან...

ფრიც. ჩვენთვის აქ დარჩენა სახიფათოა...

კარლო. არა, ნუ გეშინიათ, ბავშები ჩვენკენ მივშურებიან... დიდებს ესვრიან...

ანა. აი, მოგვიანლოვდენ ჩაიდევ (იტყობს გაღაფანის კარებში. სიმღერა ახლოვდება, მოსჩახს ბავშების წევა წითელი დროშებით).

გარედან ხმები. შემოგვიერთდით... შემოგვიერთდით...

ანა. უნდა გავიდეთ აქედან, იქ ბავშები გვიცდიან!..

კარლო. ჩვენ რას ვუცდით აქ...

ფრიც. მოდი, გავამტვრიოთ კარები...

ყველანი. გავამტვრიოთ!... გავამტვრიოთ!.. (ბავშებს მთავრად სკოლის ეზოში ნახული რკინის ბარა, კრძელი სკამი და ხანგრძლივი დარტყმით კარებს გაამტვრევენ. ამ მუშაობაში მათ გადენანც ესმარებიან).

უცნობი. (მოდის ეკლავზე წინ) — ყველა აქეთ წამოდით. მაღე, მაღე! (პრეტენსია შემოდის კარებში სიმღერით, დროშებით. ცაქე მადან ვალოდია, მაია და მარსი. უცნობი შეუსლოვდება ამ უკანასკნელთ. ბავშები ეწეობან ჯგუფ ჯგუფებად. სანამ ეს დასრულდება, მანამდე ხდება საუბარი უცნობსა და ვალოდიასა, მაიასა და მარსის შორის).

უცნობი. ვალოდია!.. მაია!.. მარსი!.. გამარჯობათ!.. გამარჯობათ!..

ვალოდია. ვინ ხარ შენ?

მარსი. ვინ ხარ შენ?

მაია. ვინ ხარ შენ?

უცნობი. მაშ თქვენ მე ვერ მიცნობთ? სირცხვილი!.. თქვენს მეგობარს ვერსცნობთ! — მაშ იცოდეთ, ვინ ვარ. აი, ვინც ვარ მე (ისმის ხელაფურად გაკეთებულ წერ-უფაშებს, გამოჩნდება ტრიუმში).

ვალოდია. მაია, მარს. (ერთად)—ტრიბუნი, (გას-
ესვრის) ტრიბუნი!

ვალოდია. როგორ მოხვდი შენ აქ?..

მარსი. აი მოულოდნელი ამბავი!

მაია. საკვირველია!..

ტრიბუნი. (სწრაფად, დაბლა ხმით)—ისევე, როგორც
თქვენ, მაგრამ არა გემის ტრიუმფზე, სა-
დაც თქვენ იყავით დამალული, არამედ
„პალუბაზე“, უცხოელის სახით...

როდესაც თქვენ წამოდით, მე მაშინ წი-
ნადება მივეცი ზოგიერთ ჩვენ კომკავში-
რელს, რომ ისინიც წამოსულიყვენ გერმა-
ნიაში, მით უმეტეს, რომ ამ დღეებში აქ
იხსნება ჩვენი კონფერენცია. ამხანაგები
დამთანხმდნენ, და ჩვენც გამოვეშურეთ, რომ
დღევანდელ დიად დღეს ჩამოგვესწრო აქ
და ვყოფილიყავით ყველა ამხანაგებთან
ერთად.

გაიგეთ, რაში ყოფილა საქმე?.. ახლა კი
ამხანაგებთან (მიღიან საერთო ჯგუფებთან).

მაია. ამხანაგებო!.. სალაში თქვენ!..

ყველანი. (ერთად) გაგიმარჯოთ... დიდად სასია-
მოვნოა თქვენი მოსვლა!..

მარსი. ჩვენ თქვენთანა ვართ..—ჩვენ მოვედით
ს. ს. რ. კ—დან!.. (მას აწვევტიანებს სიტ-
ყვას ფრცხვით).

ფრცხვი. ამხანაგები ს. ს. რ. კ—დან! გაუმარ-
ჯოს მათ, ვაშა!.. (ყუფანია ყუფიან ვაშას).

მაია. ჩვენ გვინდა გავატაროთ თქვენთან დღე-
ვანდელი დღე, დღე მუშათა კლასის ბრ-
ძოლის... დღე პირველი მაისისა..

ვალოდია. ჩვენ—პიონერები, ნორჩი ლენინელები

ვართ. ჩვენს უფროს ამხანაგთან, ახალგა-
ზრდათა ლენინური კომუნისტური კავში-
რის წევრთან ერთად მოვედით თქვენთან,
რომ დღეს, როდესაც ჩვენში, მუშურ-გლე-
ხურ რესპუბლიკებში, დღესასწაულობენ
დღეს, რომლითაც ჩვენმა მამებმა და
ძმებმა დასწავიტეს ტანჯვის ბორკილი,
რომ ამ დღეს გადმოგცეთ თქვენ მი-
ლიონი ასეთივე ბავშვებისგან, როგორც
ჩვენა ვართ, მხურვალე მეგობრული სა-
ლაში.

მთელი პროლეტარული ბავშვების მულ-
მივი მეგობრობის და ერთიანობის ნიშნად
უნდა გადმოგცეთ თქვენ, ძვირფასო ამხა-
ნაგებო, აი ეს დროშა! (უბიდან იღებს დრო-
შას, რომელზედაც აწერია:

„გერმანიის პროლეტარ ბავშვებს ს. ს.
რ. კ. ნორჩ ლენინელებისაგან—დიად
ბრძოლის დღეს“. ისმის მუშუბის სამლე-
რება).

ბავშვები. (ერთად) ამ დროშის ქვეშ დღეს, ბრძო-
ლის ქარ-ცეცხლში მყოფი ბავშვები, ფიცს
ვდებთ, ვიყოთ ქემმარტი ლენინელები...
შევასრულოთ ის ანდერძი, რაც დაგვი-
ტოვა ლენინმა...

(უჩანასკნელ სიტყვებზე ასმის მუსიკა. ტრი-
ბუნი, მატრასი, ფრცხვი, კარლო, ვალოდია,
მაია, მარს, ანა—აკეთებენ წრეს დროშის გარ-
შემო).

ტრიბუნი გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის თაობას!
(ისმის „ინტერნაციონალის“ ხმები, მუსიკა).
(ფ ა რ დ ა)

რ ა ზ ა .

(დასასრული)

ამ საუბარში კარგად დავისვენე, რის შემდეგაც
წამოვდექით და ორივენი გარეთ გამოვედით... დუ-
ქანს რომ გამოვცდით, გამახვდა პირდაპირ მთისკენ,
დამანახვა ციხე და თანაც დააყოლა:

— აგერ, ხომ ხედავთ იმ ციხეს? ის წესის ციხეა
და „მინდა ციხე“ ეწოდება. ძნელად მისივალ კლდე-
ზეა აგებული; რაჟის ერთმა ერისთავმა მოინდომა იქ
ციხის აგება მინდა ციხეო, დაიჭინა, და რადგანაც
მან ისურვა, ააგეს კიდევ (თუმცა აშენების დროს
ბევრი სიცოცხლე შეეწირა იმას), რის გამოც შემ-
დეგ „მინდა ციხე“ უწოდეს...

ამის შემდეგ კიდევ რამოდენიმე ხანი ვსაუბრობ-
დი მასთან და როდესაც კარგა დავისვენე, ისევე
ცხენს მივუბრუნდი.

ალბათ ცხენს ეწყინა ჩემი დანახვა, მეტადრე
მაშინ, როდესაც ჩემ ხელში უნაგირი დაინახა, მაგ-
რამ რას იზამდა?! კისრის ქნევით და ფეხების ბა-
კუნით გადაიტანა შეკაზმვა, რამდენიმე წუთის შემ-
დეგ კი ზედ ვიჯექი და დაკლაკნილ გზატკეცილს
მივყევბოდი.

ვიდრე „მინდა ციხე“-ს გავცდებოდი, ჩემს წინ
ხმაურით უერთდებოდა მდინარე ლუხუნი რიონს და

შეერთების ადგილზე ისეთი ძლიერი და აქაფებული ტალღები ირეოდა ერთმანეთში, რომ მტკიცედ შემოფარგლული ჯებირიც ძლივს იმაგრებდა თავს და წარმოუდგენელი სიჩქარით გზავნიდა წისქვილის ბორბლებისაკენ ლურჯ-თეთრად აქაფებულ წყალს...

ეს ადგილი მშვენიერი სანახავი იქნება გაზაფხულზე, მთებზე თოვლის გადნობის დროს, ან კიდევ წვიმა-აედარში, როდესაც ლუხუნიც და რიონიც აღიდებულობს და მეტის სიძლიერით ეხეთქებიან ერთმანეთს.

დაბინდდა. მწვანით დაფარული მთა-გორაკები ოდნავ გალურჯდნენ და მთათა მყუდროება იმეორებდა რიონის დენის და ცხენის ფეხის ხმას. ჩემს წინ კიდევ თხუთმეტი ვერსი იყო და მჯეროდა, რომ გზაში სიბნელე მომისწრებდა.


მართლაც, მთების მწვერვალებზე უცბად გადადნა ჩაძირული მზის უკანასკნელი გამოკრთომა და ისფურად დღამდა...

ცამ აქა-იქ ვარსკვლავებით გაახილა თვალები და ბნელი ღამე თანდათანობით შავი ხავერდით გადაშალა, რომელშიაც ვარსკვლავები ციციანათლებივით ააბრწყვიალა.

მთვარე კი არსად სჩანდა. მთვარე იმიტომ არა სჩანდა, რომ გარშემორტყმული მთების სიმაღლის გამო რაქა ჩავარდნილია. ტყვილად კი არა ჰქვიან „რაქა“: სანადიროდ მთაზე ასულმა მონადირემ დაბლა რომ დაიხედა, განცვიფრებით წამოიძახა: „ოჰ, რა ჭაოა“. ამის შემდეგ დაერქვა და დღემდე შერჩა სახელად...

ეს მაღალი მთები სადღაც მალავდა მთვარეს, რის გამოც იგი ხშირად გათენებისას გამოჩნდებოდა ხოლმე გაცრეცილი, უფერული, მაგრამ თუ ადრე ამოვიდოდა, იმდენად სავსე და ლამაზი, რომ ცისა და მიწის გამანათებელ შუქურას ემსგავსებოდა.

თითქმის შუაღამემ მოაწოა. ქ. ონს მივუახლოვდი და სწორედ ამ დროს ერთ-ერთი მთის წვერზე გამოჩნდა მთვარის ერთი ნაწილი, მეორე ნახევარი ჯერ კიდევ არ მოსჩანდა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ბადრი მთვარე ვარსკვლავთა ჯგუფში შეცურდა და ცივი სინათლე გარემოს მიმოაფრქვია.



უწერის მიდამოები. მინერალური წყარო რიონის ნაპირას.


გადავიარე რიონის ხიდი და ელნათურებით გაშუქებულ ქალაქში შევედი. შარშან ეს ხიდი ჯაჭვისა იყო, მაგრამ გაზაფხულზე აღიდებულმა რიონმა მოსწყვიტა, მოიტაცა და ახლა შედარებით მაგარი ხიდი აუგიათ...

მთელი დღის მოგზაურობით დაღლილ-დაქანცული ერთ-ერთ სასადილოს შევეკედლე და ისეთი სიამოვნებით გავწევი ხმელ და ჭრიჭინა ლოგინზე, რომ, აღბათ, იშვიათად თუ მღირსებია ასეთი ტკბილი და უშფოთველი ძილი.

მ ე ო რ ე დ ლ ე .

— თქვენ, გეტყობათ, ბუნების მოყვარული უნდა იყოთ, თუმცა საერთოდ ახალგაზრდებმა ასე იციან.

ასეთი სიტყვებით მომართა ერთმა რაჭველმა ახალგაზრდამ, რომელსაც მოგრძო ცხვირი და წითური სახე, მუდამ მოძრავი თვალებით, ხალისიან ელფერს აძლევდა..



მყინვარი თხისთავი. (მამოსონის სამხედრო ფერდობზე).

— მერე რარიგ მიყვარს ერთიც და მეორეც, თქვენ ამას ვერც კი წარმოიდგენთ, — ვუპასუხე ღიმილით და მიეფხვიე, კიდევ... —

— აი, მაშ წამოდით ბოლთაზე, სულ პატარა მაღლობია, ჩამოვსხდეთ ფერდობზე და გადახედეთ მიდამოს. მშვენიერი ბუნებაა. პოეტი რომ იყოთ, ლექსსაც დაწერთ..

— მართლა?.. წავიდეთ... დავეთანხმე და ორივენი გავემართეთ ბოლთასკენ. ეს ყმაწვილი ონის თეატრის რეჟისორი იყო, სახელად ნიკო ერქვა და, როგორც ბოლოს გამოირკვა, კარგი საამხანაგო კაცი იყო.

მთაზე ავედით, დაესხედით ფერდობზე და ჩემი თხოვნის შემდეგ ბევრი რამ მიაშო..

— აგერ იქ, შორს, თეთრი მთის მხოლოდ წვერი რომ მოსჩანს, ფასის მთა არის. მასზე თოვლი არასოდეს არ დნება და სწორედ მის ძირშია სათავე რიონის, რომელსაც ძველად ფაზისს უწოდებდენ..

ფასის მთა კავკასიონის ქედის ერთი შტოა და საზღვრად უძევს ჩრდილო-ოსეთსა და საქართველოს.. უფრო ქვევით კი, ისეთივე დათოვლილი მთა რომ მოსჩანს, შეშურის მთა არის, რომლის

ძირშიც გაშენებულია სოფელი უწერა, სადაც გამოდის მთავე წყლები.


ასეთი მთავე წყლები სოფელ გლადოვსკისკენაა, რომელიც მამოსონის უღელტეხილიდან ოცდაათი ვერსის მანძილზე მდებარეობს და მთებზეა გაშენებული. აქ ზაფხულობითაც კი ცივა და გლეხები, რომელნიც ამ ბუნების წიაღში იზრდებიან, ჯანმრთელი, ტანადი და ბრვე შეხედულობის არიან.

მთავე წყლები მთების ძირში მიწიდან ამოდის და შველის კუჭს, სუსტნერვებიან ავადმყოფებს, და სასმელადაც კარგია.

აქლა იქ აგარაკ შოვს აშენებენ. მოაგარაკენი ჯერჯერობით კარვებში ცხოვრობენ. ექიმებმა გამოიკვლიეს, რომ საუკეთესო ჰავაა ამ აგარაკში და ქლექით ავადმყოფებს ძალიან შველის..

უწერის მარცხნივ კუბრის მთა არის, რომლის ძირშიც ჩამოდის მდინარე საკაურა და რიონს უერთდება.

ცოტა ხნის შემდეგ ჩემმა მოსაუბრემ დამანახვა კლდოვანი მთა, რომელსაც „ქვა ციხე“ უწოდა.. მართლაც, გარეგნობით ვერ იპოვიდით განსხვავებას ხელოვნურად აშენებულ კედლებს და ამ მთის გარენაპირებს შორის. ის გამოიკვირებოდა, როგორც დანგრეული ციხის კედლები. ჩემმა მოსაუბრემ მითხრა: „ხედავთ? ხომ ლამაზია? ეგ მთა ბავშობიდანვე მინტერესებდა და ჩემი ოცნებით მის შესახებ ერთი ლეგენდაც კი შევქმენი... თუ გნებავთ, გაიამბობთ. ცნო-



სოფელი ღები. (ზემო რაჭა).



ბისმოყვარეობამ გაიღვიძა ჩემში და სმენად გადავიქცე.

მან დაიწყო:

„ერთ შემოდგომის დღეს, მაშინ, როდესაც ყვითლდებოდა არემარე და ხეხილთა დაცვენის ფოთლებს მთებიდან მთებამდე ქარი დააქროლებდა, სოფლის ერთმა გლეხმა თავის ბატონს ქალი მოსტაცა. ქალი-ვაჟს ერთმანეთი უყვარდათ და რადგანაც ბატონმა ეს იუკადრისა, ჯერ გაამათრახა ამის გამბედავი გლეხი, შემდეგ დილეგში ჩაამწყვდია. იმავე ღამესვე შეურაცხყოფილი ახალგაზრდა გლეხი ქალის დახმარებით გათავისუფლდა და მთაში გაიქცა...“

სვანეთში გადასვლის იმედით ქვაციხისკენ ვაემართენ, მაგრამ მათ დაედევნა თვითონ ბატონი ოცამდე შეიარაღებული ბიჭით და კვალს რომ მიავნო, „ქვაციხზე“ აჰყვა. ეს ისეთი მთა არის, რომელსაც მხოლოდ ერთი გზა აქვს და ოთახივით ამოჭრილი ადგილი წვეროზე შემოფარგლულია კლდის ბუნებრივი კედლებით, რის გამოც მთის იქით გადასვლა შეუძლებელი ხდება, ისე რომ ქალ-ვაჟი ან იქუნდა დარჩენილიყვნენ, ან უკან დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ მათ დაბრუნება ვერ გაბედეს, რადგან გაშმაგებული ბატონი წინ მიიწევდა და მოუთმენლად ელოდა მათ შეპყრობას.

საფრთხის მოლოდინში გაქცეულნი მალლიდან ქვებს აგორებდნენ და იმით უღობავდნენ გზას მდეგრებს, მაგრამ ვაჟსაც და ქალსაც უშველებელი ქვების გადმოგორებით ძალ-ღონე შემოეღიათ, გამკლავება აღარ შეეძლოთ და რადგანაც არ სურდათ ხელში ჩავარდნოდნენ, ვაჟმა ქალი უხარმაზარ ლოდზე გადააწვინა და გაღვსილი დანის წვერი მკერდზე დაადო, ისე, რომ ეს სურათი მთლიანად ბატონს დაენახა.

— თუ გაბედავ ამოსვლას, ქალსაც მოვკლავ და მეც თავს მოვიკლავ, — გადასძახა მალლიდან თითქმის გადარეულმა გლეხმა და დანის წვერით გაჭრილი მკერდოდან რამდენიმე წვეთი სისხლი გადმოგორდა.

— ცოცხლები თუ მკვდრები, მაინც ჩემი ხართ. უპასუხა ბატონმა, განაგრძო სვლა და ის-იყო მიუახლოვდა კიდეც, რომ გაისმა ორი მწარე ამოკენესა, მწარე ტკივილებით გამოწვეული...

სისხლი მკერდებიდან შადრევანივით სჩქეფდა და ცივ ლოდებს წითლად ღებავდა. უკანასკნელ ამოსუნთქვასთან ერთად ამოდიოდა მწარე გულის წყრომა ბატონის წინააღმდეგ.


სინანულში ჩავარდნილმა ბატონმა ორივეს გვამი სოფლად ჩაიტანა“.

— მერე, მერე?..

— მერე ის, რომ ამ მთაზე რომ ახლდებოდნენ, ნახავთ წითელ ქვებს, რომელიც მათი სისხლითაა შეღებილი, და შეამჩნევთ, რომ თვით მთის წვერიც ციხეს წააგავს... ახლა კი მე შემდეგ მთებზე გადავალ.

სოფელ საკაოს უკან ამართულია კუპრის მთა. ამ მთის ზოგიერთ ფერდობებზე კუპრი ამოდის და დამტკიცებულია, ის რომ გაიწმინდოს, კარგი ღირსების ნავთი იქნება. ახლა ის უსარგებლოა, მაგრამ შესაძლებელია ოდესმე ნავთის შადრევანმა ამოხეთქოს. ეს ჯერჯერობით იპედი და ფიქრია. ამას მომავალი დაგვანახებს.

რაჭისა და ლეჩხუმის საზღვრებზე ამართულია ორი მწვერვალი ზაგერის და თარიგონის მთებისა, რომლებიც ზამთარში თეთრად და ზაფხულში მწვანედ დასცქერიან რაქა-ლეჩხუმს.



ტყე. უკან მოსჩანს მამისონის მთები.

არის კიდევ პატარა მთები და მგონი მნიშვნელობას მოკლებულნი არიან, როგორც, მაგალითად, შქმერისა და მთა-მოედანი. ამ უკანასკნელის წვერი, მოედანივით ფართოა, სწორი და გადაშლილია. ამობენ, რომ აქ ძველად იმართებოდა ჯირითი ცხენებით და სხვადასხვა ხალხური თამაშობანი. უამრავი ხალხი ესწრებოდა ამ დღესასწაულებს და უმთავრესად ახალგაზრდობა იღებდა მონაწილეობას...

ეს სთქვა და გაჩუმდა, მერე გადახედა მიდამოს და ღრმად ჩაისუნთქა...

— წარმოიდგინეთ, ხომ საუცხოვო ჰაერია რაქაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქ ძლიერ ხშირია ქლექით ავადმყოფობა. აქ აღამიანს არ შეიძლება ფილტვები დაუზიანდეს, რაც უნდა მძიმე მუშაობაში იყოს ჩაბმული, რადგან აქ საღი და სუფთა ჰაერია. მისი მხოლოდ ერთი ჩასუნთქვაც კი ძალ-ღონეს მატებს აღამიანს.



მიუხედავად ყველა ამისა, ქლექიანი მაინც ბევრია. ამისი მიზეზი კი შემდეგია:

— რაჟა ძლიერ ღარიბი კუთხეა. ვაკე ადგილების უქონლობის გამო ჭირნახულის მოსავალი მთელი წლის განმავლობაში არ ჰყოფნით, მიუხედავად იმისა, რომ გლეხობა დაუხარებლად მუშაობს.

სიღარიბის გამო რაჟველ გლეხებს უხდებოდათ ზამთრობით სამუშაოდ ქალაქად წასვლა. ადგილის ძებნაში, უბინაოდ მყოფნი, ხშირად ცივდებთან და მოუვლელობის გამო ავადმყოფდებიან. ასე მრავალი წლების განმავლობაში ბრუნდებოდნენ უკან ზოგი ქაჭებ, ზოგი ფილტვებდაზიანებულნი და როდესაც ზედ

დრეები იგონებენ ათასგვარ შაირს და თავიანთ სტეი-ზე ამღერებენ.

არის ერთი სიმღერა „ქვედრულა“ სახელწოდებით, რომელიც ძლიერ გავრცელებულია.

ერთმა რაჟველმა ახალგაზრდა პოეტმა ლექსი შეთხზა. აი, თუ გინდათ, წაიკითხეთ. მითხრა ეს და გადმომცა ქალაქდზე ფანქრით დაწერილი ლექსი, რომელიც, დაუბეჭდაობის გამო, ხელიდან ხელში ხელნაწერი გადადიოდა.

აი ის ლექსი:

ქვედრულა მოდიდებულა,
თან მოაქვს მთა და ბარია,
შეხედე, მოდი, დედილო,
მოზღავის, ვითა ხარია.

დაუქცევია სოფელი,
ყანა, კალო და ნალია,
საბძელი საფიცხობელი,
წისქვილი ორი ფავალია.

ქმრებსა სტირიან ცოლები
ახოდან მომავალია,
ზეცას ვინ შეებრძოლება,
ვისა აქვს იმის ძალია ..

მთებში ირემი ტიროდა,
ბარს დასცქეროდა წყენითა;
ნოდარი სანადიროდან
გამოზრბის მარდი ცხენითა...


ვაი!.. სოფელო ქებულო,
დაგტირი საზანდარითა;
ქვედის ტბა აფეთქებულა,
მოდის ზათქით და ზარითა...

ლალაშვილს დაუქანდია,
მე მომდის ბევრი ქერია;
შენი ქვედრულა მოგიკვდეს,
თუ არ გიცვალოს ფერია...

არავის ახსოვს ასეთი
გულშემწარავი ზარალი,
თვალეებს ცრემლებით ავსებდა
ზურაბი დაუხარელი.

ისმოდა გრგვინვა მიწიდან,
ზეცას უთვლიდა სამღურავს;
სიომ გიშრისფერ ნისლითა
მთები, ველები დაბურა...

მოვიდა დამე წამებით,
გათენდა დილა მზიანი;
ყანაში ვერცხლის ნამები
მარგალიტივით ბზინავენ.



ოსეთის სამხედრო გზა რაჟაში (სოფელ გლოლასა და ლურშეგს შორის)

ადგილობრივი მუშაობაც დაემატა, თანდათანობით ავადმყოფობა ქლექის სახით გავრცელდა.

ბუნებრივად კარგი ჰავა რომ არ იყოს, მაშინ უფრო გაძლიერდებოდა, მაგრამ ეს უკანასკნელი ხელს უწყობს ხალხის ჯანმრთელობის შენარჩუნებას.

ახლა მე თქვენ გიამბობთ მდინარე ქვედრულას შესახებ, რომელიც სოფელ ქვედის შუა ჩამოდის, და თავისი სიწმინდით არის ქებული.

ამ ოცდაათი წლის წინათ ეს მდინარე ადიდდა და მთელი სოფელი წალეკა. მთლად გააანადგურა ყანები, ვენახები, რის გამოც სოფლელები დიდ გასაქარში ჩავარდნენ. წყალმა წაიღო ქოხები, საბძლები, კარ-მიდამო. ეს უბედურება ყველამ გაინაწილა და ხალხი მწუხარებით იგონებს ამ მოვლენას. მესაზან-

ამ ამბის მოსაგონებლად
ხალხმა გამოსთქვა შაირი,
და მესაზანდრემ დამღერა
ლექსები ათასნაირი.

ლექსის წაკითხვის შემდეგ ონში ჩავედით და
გავშორდით ერთმანეთს, რადგან მზე შუბის სიმაღლე-
ზე ამოსულიყო და წასაუზმების დრო იყო.

კმაყოფილი ვიყავი ყველა იმით, რაც მე ვნახე
და რაც გავიგონე, ამასთანავე ერთად მატარებლად
ის მშვენიერი ბუნება, რომლის წიაღშიც მე მსუბ-
თქავდი. ვიგრძენი უსაზღვრო გაცაცება და აღფრთო-
ვანებულმა იმავე ღამეს დავწერე ლექსი, რომელიც
რატკას მივუძღვენი:

რ ა ზ ა ს.

ძალიან ხშირად მადღეღვებენ უცხო ფიქრები,
მგონია, რომ შენ ვერ მიშვილებ გრძნობით ალურით,
მე კი ამრიგად შენს წიაღში მუდამ ვიქნები,
მუდამ მომალხენს მალლობები ჩამოსარული...

მე მინახია, როს გაღვიძებს მზე მთის წვეროდან.
შიშობს, უდროოდ არ შეგიკრთოს ძილში თვალ-წარბი,
მაგრამ რიონი ავაზაკი არ მოგერიდა
და ბაბო ტალღებით დაიმშვიდა ჟინი ნახარბი; —

მაშინ, შენს მთებზე ბილიკები რომ იკლავება,
და გზა საურმე რომ იფარვის ბუჩქთა სიმწვანით,
მიემართება შრომისაკენ ბავშვის აკვნებად
ზანტი ურმები და ჭრიჭინი მისდექს სიმწარით.

მახსოვს ბავშობა, მოგონება უძვირფასესი.
ასეთი თვლები მაშინ ხშირად გამოპითლია.
აქ თურმე ხარებს უმსუბუქებს გზების სიძნელეს,
მე კი გართობა და თამაში არ მომიკლია...

შორის დაგცქერის მწვერვალები თეთრი ჩადრებით,
თვით მაისიც კი ველარ უთბობს ჰკერდს ნაჭალარევს,
ვერ იკრიფება შენს ყანებში ძნა ნადრევი
და გაზაფხულის მოლოდინში თვალებს სდაღავენ.

როგორ გიხდება, როცა წვიმა თშებს დაგინამავს
და დაუვარცხნელს დაგამშვენებს ნაზ ქალწულივით,
მზე, ხვანჭკარულით ნამთვრალევი, ღრუბლების კარავს
გადახსნის კიდევ და ერთხელაც თვალს გავისწორებს.

რა ენადღეღვება შენს ფერდობებს და შმაგურ რიონს,
ძვირფას საჩუქრად რომ ჩაუდის წყლები ნავუბი,
მას ხომ სჭირდება ქვევით გზები, რომ გადარიოს,
ხომ საჭირაა უხეშ ნავებს რომ წაეჩხუბოს?!

ალბათ, მას ღამეც არა სძინავს იმაზე ფიქრით,
რომ უსერავენ გულს ნიჩბები, ბორნის წვეტები,
გიყურ ხმაურში მასთან ერთად ეს წყრომა მიჰქრის: —
„თქვენ, ე, ვინცა ხართ, ჩემზე ნულარ დაეხეტებით“...

მაგრამ დღე მაინც არ ისვენებს, შრომის მსურველი,
დაღლილ საქონელს წყალზე გზავნის თავჩაკიდულებს,
მხოლოდ სელამო არ აწუხებს ჩამობურვილი,
როცა მკვდარსავით მიატოვებს მზე ცის კიდურებს...

აქ იფარება ძველი ჰუმუნვა ქარქაშახსნილი,
როცა ლანდივით „მინდა ციხე“ მოვარეს ანუღავს,
ველარ ჰკლავს სევდას მალლობები თმადავარცხნილი,
იგი ხომ წინათ მაღალ სახელს აამაყებდა!?

ახლა შენს გორებს, შენს მალლობებს, შენს მთვარეს და მზეს
შრომის მარჯვენა რაინდივით ესაკუთრება,
გლებს ფარაჯავ, გადიშალე, წარსული დაჰკმე,
ეს მშვენიერება შენი არის, შენი კუთხეა...

ე. პოლუმორდინოვი.

პიონერ-მოძრაობა და სკოლა.

1. ფორპოსტის დანიშნულება.

ზოგიერთ ჩვენ პიონერ-მუშაკს არც კი შეუგნია ფორპოსტის დანიშნულება სკოლაში. იმათთვის გაურკვეველია ჯერ, საჭიროა თუ არა საერთოდ მუშაობა სკოლაში — და ამიტომ ისინი საკითხს ამრიგად აყენებენ: სკოლაში მუშაობას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, თუ კოლექტივში მუშაობას?

სწორია თუ არა საკითხის ასე დაყენება? შეეფერება თუ არა პიონერთა ზემოაღნიშნული მოსახრება სინამდვილეს?

ჩვენ ვამბობთ, რომ არა, და აი რატომ: სკოლაში ფორპოსტის მუშაობა მეტად საჭიროა იმისათვის, რომ სკოლა ჩავაბათ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ იგი ორგანიზულად დაეუკავშიროთ თანამედროეობას.

მეორე დებულება, რომელიც საესებით ამართლებს ფორპოსტის არსებობას, მდგომარეობს იმაში, რომ მისი მეოხებით ჩვენ სკოლას ვაკავშირებთ პროლეტარულ ორგანიზაციებთან.

მესამე — ფორპოსტის დანიშნულება სკოლაში გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ ბავშვებს მივაჩვენებთ კოლექტიურ შრომას, ჩავაბამთ მათ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მუშაობაში.

მეოთხე — პიონერ-ფორპოსტის საშუალებით ბავშვებში ვანვითარებთ თვითმოქმედებას, რაც აუცილებელი პირობაა ახალი სკოლისათვის.

მეხუთე — ფორპოსტი ხელს უწყობს ბავშვებში ინტერესის გაღვივებას სკოლისადმი და აგნებინებს მათ, რომ სწორედ ისინი არიან ახალი სკოლის აღმშენებლები.

მექექვსე — ფორპოსტების მეოხებით ჩვენ ვაწარმოებთ ბრძოლას ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის.

ასეთია ის ძირითადი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაც დაკისრებული აქვს ფოსპოსტს სკოლაში.

საერთოდ ფოსპოსტის მუშაობა ახალი სკოლის აღმშენებლობისაკენ არის მიმართული. ეს ჩვენ კარგად უნდა გვახსოვდეს.

ჩვენ ვიცით, რომ მასწავლებლობა ახალი სკოლისათვის სკოლას ახალი მეთოდებით, ახალ უწყვეტობით შექმნით, მაგრამ გარეშე ბავშვების მონაწილეობისა ახალი სკოლის მშენებლობა წავლად შეუძლებელია. აი, ამ დიდ აღმშენებლობაში პიონერები წარმოადგენენ ბავშვების იმ აფანგარდს, რომელმაც მასწავლებლობასთან ერთად უნდა წაიყვანოს მოწაფეთა მთელი მასები.

„პიონერები უნდა გახდნენ მხურვალე დამხმარენი მასწავლებლისა ახალი სკოლის აღმშენებლობის საქმეებში“, — ამბობს ნ. კ. კრუპსკაია.

თუ კარგად შევიგნებთ პიონერ-მოძრაობის ძირითად ამოცანებს სკოლაში და აგრეთვე ამბ. კრუპსკაიას ზემომოყვანილ სიტყვებს, დავრწმუნდებით, რომ სკოლაში მუშაობა აუცილებელია.

ამიტომ საკითხის ასე დაყენება: „რა უფრო საჭიროა: სკოლაში თუ კოლექტივში მუშაობა“, არ არის სწორი. ეს მაგნე ტენდენცია ამთავითვე უნდა იქნას აღმოფხვრილი.

სკოლაში მუშაობის საჭიროება პიონერ-მოძრაობის ამოცანებიდან გამომდინარეობს. ამიტომ ეს ორი საქმიანობა ერთი-მეორესთან მკიდროდ არის გადაკვანძული. ამ შემთხვევაში ჩვენი ამოცანა ის უნდა იყოს, რომ გავაჩალოთ მუშაობა როგორც სკოლებში, ისე კოლექტივებში.

2. ფორპოსტის საზოგადოებრივი მუშაობა.


პიონერ-ფორპოსტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს პროლეტარული საზოგადოებების უჯრედების ჩამოყალიბება თვით სკოლაში. ასეთია, მაგალითად; „რემედასი“, „ავიოქიმი“, სოფლის და ქალაქის დაკავშირების უჯრედი და სხვა.

ამ საზოგადოებების მეოხებით სკოლა უკავშირდება საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ამიტომ ამა თუ იმ საზოგადოების უჯრედის შექმნის დროს უნდა ვერიდოთ მექანიკურად მოწყობას — ასეთი უჯრედის მოწყობის დროს საჭიროა განვუმარტოთ მოსწავლეებს ამა თუ იმ საზოგადოების

პიონერების გეგმობაში

- 1) კბილის საწმენდი ფხვნილი,
- 2) პირსაბანი, 3) კბილის ჯაბრა,
- 4) საპონი.



ამოცანები და დანიშნულებანი, რატომ უნდა გახდენ მოწაფეები მის წევრებად და სხვა.

ამასთანავე საჭიროა სამეული, რომელიც კავშირს დაკავებს ამა თუ იმ საზოგადოების ცენტრალურ ორგანოებთან.

სამეულის ამოცანებს არ უნდა შეადგენდეს მართლ საწევრო გადასახადების შეკრება. მისი მთავარი მიზანი უნდა იყოს იმ საზოგადოების იდეების პროპაგანდა, რომლის წარმომადგენლაც იგი ითვლება სამეული უნდა ჰკრებდეს მასალებს თავისი საზოგადოების მუშაობის შესახებ მაგალითად, „რემედისის“ სამეული ჰკრებს მასალებს პიონერების, კომკავშირელების, კომუნისტების და მუშების დევნის შესახებ ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

ეს მასალები წარმოადგენს აგრეთვე ამ საზოგადოებების კუთხეების შინაარსს სკოლაში. ამა თუ იმ საზოგადოების კუთხე უნდა სახავდეს იმ განვლილ მუშაობას, რომელიც აწარმოვა უჯრედმა. მაგალითისთვის მოვიყვანთ, თუ როგორ უნდა მოეწყოს სოფლისა და ქალაქის კულტ-დაახლოვების უჯრედის

კუთხე: 1. უნდა ჩამოიწეროს სია იმ მოწაფეების, რომლებიც არიან ამ საზოგადოების წევრნი; 2. უნდა ჩამოკიდოთ პლაკატები, ლოზუნგები; იქვე შეიძლება მოათავსოთ რამოდენიმე სურათი ქალაქის და სოფლის ცხოვრების შესახებ; 3. უნდა მოვითავსოთ აგრეთვე საშეფო სოფლიდან ჩამოტანილი მასალები და 4. მთელი მიწერ-მოწერა სკოლასა და საშეფო სოფელს შორის.

მასალები კუთხეში არ უნდა დაძველდეს. იგი უნდა წარმოადგენდეს მიმდინარე მუშაობის სურათს. უნდა გვახსოვდეს, რომ კუთხე სიძველეთა მუზეუმი არ არის, არამედ ის ცოცხალი სურათია, სარკეა, ამა თუ იმ საზოგადოების უჯრედის საქმიანობის გამომხატველი.

ასეთია დაახლოებით გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა წარმოებდეს მუშაობა.

სწორედ ამ მუშაობაში უნდა ჩავაბათ მოწაფეობა, ხოლო ამისი ინიციატივა კი სავსებით უნდა იკისროს სკოლის პიონერ-ფორპოსტმა.

შ. რ.

გაზეთის ფურცალი.

(ელექტრო-ცდები)

I. მძიმე გაზეთი.

ზამთრის დღე იყო. ჩემი უფროსი ძმა გახურებული ლუმელის კედელთან იდგა და რაღაცას ფიქრობდა. სულ მოულოდნელად მობრუნდა და გამიძვლანა: დღეს საღამოზე მე და შენ ვაკეთებთ ელექტრულ ცდებს.

— ცდებს? ახალ ცდებს? როდის? ახლავე გავაკეთოთ, — გახარებულმა წამოვიძახე მე.

— მოთმინება იქონიე. ცდებს საღამოზე გავაკეთებთ. ახლა საქმე მაქვს, უნდა წავიდე.


— მანქანის მოსატანად?

— რა მანქანის?

— ელექტრონის მანქანის, ცდები-

სათვის. ელექტრონის მანქანა ხომ არის საჭირო?

— მანქანა, რომელიც ჩვენ გვჭირდება, აქ არის, პორტფელში ძვეს. მაგრამ გახსოვდეს, უჩემოდ არ ახლო ხელი.



ჩემმა ძმამ სახაზავი დასდო მაგიდაზე.

— მანქანა კი შიგ არის?

— შიგ არის, შიგ.

ჩემი ძმა გავიდა ოთახიდან, პორტფელი კი მაგიდაზე დარჩა. ძალიან მინ-

დოდა პორტფელისათვის ხელი არ მებლო, მაგრამ მან დაიპყრო მთელი ჩემი ფიქრი და სურვილი. საითაც მივბრუნდებოდი, ის მიზიდავდა თავისაკენ, როგორც ანდამატი რკინას.

„საკვირველია, როგორ ჩავიდა პორტფელში? — მე კი სულ სხვა წარმოდგენა მქონდა ელექტრონის მანქანაზე“, — ვფიქრობდი მე და ვუახლოვდებოდი პორტფელს.

„დაკეტილი არ არის. ერთს ჩავიხედავ. რაღაცაა გაზეთში შეხვეული. ყუთია? არა, წიგნები. წიგნების მეტი შიგ არაფერი არის. როგორ ვერ მივხვდი, რომ ძამია მეხუმრებოდა. ვის გაუგია ელექტრონის მანქანა პორტფელში!

ამ ფიქრებში ვიყავი, რომ ჩემი ძმა ც დაბრუნდა. შემომხედა თუ არა, მაშინვე მიხვდა, რომ მანქანის ნახვის იმედები გამიმტყუნდა.



პიონერის უსრავი

- 1) უხეზურთი,
- 2) მზის-უმირა,
- 3) მკლერს-ნობა,
- 4) თამბაქო.

— შენ, მგონი, პორტფელი გახსენი უჩემოდ?


— მანქანა სად არის? — ისევ კითხვით ვუპასუხე მე.

— პორტფელში ვერ ნახე?

— შიგ წიგნების მეტი არაფერია.

— მანქანაც იქ არის. არ გაგისინჯავს კარგად. რით შინჯავდი?

— რით უნდა მეშინჯა? რასაკვირველია, თვალებით.



ისე დავარტყამ რომ სახაზავი მაღლა ავარდეს.

— საქმეც მიაგზავია, რომ მარტო თვალებით ცქერა არ კმარა, საჭიროა გესმოოდეს კიდევ ის, რასაც ხედავ. მანქანა პორტფელშია, მხოლოდ შენ ვერ მიხვდი, რომელია.

ამ სიტყვებით მან ამოიღო გაზეთი, რომელშიც წიგნები იყო შეხვეული.

მე გოაცებით თვალს ვადევნებდი. ეს გაზეთი და წიგნები ხომ მეც ვნახე.

— ეს ხომ უბრალო გაზეთია და, აი, ახლავე დარწმუნდები, რომ ხელსაწყოა, რომლითაც ცდებს გავაკეთებთ. აიღე გაზეთი ხელში, ხომ მსუბუქია? ხომ



ნიკომ გაზეთი თბილ ლუმელს მიაღო და დაუწყა საწმენდი ჯაგრით ხახუნი.

დარწმუნებული ხარ, რომ ყოველთვის ერთი თითითაც კი შეგიძლია მისი აწევა. ახლა კი დავარწმუნებ, რომ იგივე გაზეთი ზოგიერთ პირობებში შეიძლება ძალიან დამძიმდეს.

— მომეცი შენი სახაზავი.

ნიკომ — ასე ერქვა ჩემ ძმას — დადო სახაზავი მაგიდაზე ისე, რომ მისი ნახევარი ჰაერში იყო. შემდეგ გადააფარა მაგიდას გაზეთი, გაშალა ყველა ნაკეცი. ამნაირად სახაზავის ის ნახევარი, რომელიც მაგიდაზე იყო, გაზეთ ქვეშ მოხვდა.

— ახლა აიღე ჯოხი და ღონივრად დაარტყი სახაზავის ნაწილს, რომელიც მაგიდის გარეთ არის. დაჰკარ მაგრა.

— ისე დავკრავ, რომ სახაზავი გახევს გაზეთს და ჰერში ავარდება, — წამოვიძახე მე.

— მხოლოდ გახსოვდეს, მაგრა დაჰკარ, ღონეს ნუ დაზოგავ, — სთქვა ნიკომ.

სახაზავზე ჯოხის დაკვრის შედეგი სულ მოულოდნელი იყო ჩემთვის: სახაზავი გადატყდა, გაზეთი კი დარჩა მაგიდაზე განურხეველი.



თითებიდან ნაპერწკლები გამოცვინდა.

— გაზეთი უფრო მძიმე გამოდგა, ვიდრე შენ გეგონა? მხიარულად შემეკითხა ძმა.

მე კი გაკვირებული ხან გაზეთს შევეცქეროდი, ხან სახაზავის ნამტვრევს.


— ეს ცდა არის? ელექტრობის ცდა?

— ცდა არის, ხოლო ელექტრობის არა. მე ჯერ მინდოდა დამემტკიცებია შენთვის, რომ გაზეთი შეიძლება გამოიყენო, როგორც ცდებისათვის საჭირო ხელსაწყო.

— მაინც ვერ გავიგე, როგორ დავაგა სახაზავი. აი, მე რა ადვილად ვიღებ გაზეთს მაგიდიდან.

— საქმე იმაშია, რომ გაზეთს აწევა ჰაერი: თვითეულ კვადრატულ სანტიმეტრს ერთი კილოგრამის ძალით (2 1/2 გირვანქა). როცა სახაზავის ერთ ბოლოს ჯოხი დაარტყი, მეორე აწევო-

და გაზეთს ქვევიდან. გაზეთი აწეულიყო. ნელა რომ დასახაზავს, გაზეთიც ნელ-ნელა აიწეოდა, ჰაერი მოასწრებდა გაზეთის ქვეშ შესვლას და თავისი წნევით გაათანასწორებდა იმ ძალას, რომლითაც



მაკრატლის წვერზე გამოცვინდა ნაპერწკლები.

ჰაერი აწევა გაზეთს ზევიდან. რადგან შენ დაარტყი სახაზავს სწრაფად, ჰაერმა ვერ მოასწრო გაზეთის ქვეშ შესვლა: გაზეთის ნაპირები მაგიდას არ იყო მოშერებულნი, როდესაც სახაზავი ცდილობდა აეწია მისი შუა ნაწილი. ამიტომ ასაწვევი გახდა მარტო გაზეთი კი არა, არამედ გაზეთი იმ ჰაერთან ერთად, რომელიც მას აწევებოდა. სახაზავით საჭირო გახდა იმდენი კილოგრამის აწევა, რამდენ კვ. სანტიმეტრსაც შეიცავდა გაზეთის ის ნაწილი, რომელიც უნდა აწეულიყო. მაგალ., თუ ეს ნაწილი იყო 16 კვადრატული სანტიმეტრი, ე. ი. მოედანი, რომლის გვერდი 4 სან. უდრის, ჰაერის წნევაც იქნებოდა 16 კილოგრამი, ე. ი. ერთ ფუთამდის, ნამდვილად კი გაზეთის ასაწვევი ნაწილი რამდენჯერმე მეტია, მაშასადამე, რამდენიმე ფუთი არის ასაწვევი. ამ სიმძიმე ტვირთს სახაზავმა ვერ გაუძლო და გადატყდა.

გჯერა ახლა ხომ, რომ გაზეთის საშუალებით შეიძლება ცდების გაკეთება? დაბინდდა. ახლა შეიძლება ელექტრობაზე დავიწყოთ ცდები.

II. ნაპერწკალი თითებიდან. დამკერი ჯოხი. ელექტრობა მთებში.


ნიკომ ერთ ხელში აიღო ტანსაცმელის საწმენდი ჯაგრა (ჩოთქი), მეორეთი მიაღო გაზეთი ლუმელის ცხელ კედელს და დაუწყა ჯაგრით ხახუნი. ასე იქცევიან ყოველთვის, ახალ შპალერს როდესაც აკრავენ კედელს.

— უყურე, — სთქვა ნიკომ და ორივე ხელი მოაშორა გაზეთს.

მე ველოდი, რომ გაზეთი ჩამოცურდებოდა იატაკზე. მაგრამ ეს არ მოხდა: გაზეთი თითქოს მიკვროდა ლუმელის კედელს.

— რატომ არ ვარდება, წებო ხომ არ ესვა? — შევიკითხე მე.

— რასაკვირველია, არა. გაჩერებულა კედელზე ელექტრობის გამო. იგი ახლა დაეღეპტრობებულია.



ნიკომ წუმწემა მიაღო გაზეთს.

— რატომ თავიდანვე არ მითხარ, რომ პორტფელში ელექტრობით გატენილი გაზეთი გქონდა?

— არ იყო წინათ ელექტრობიანი. აი ახლა, ჯაგრას, რომ ვუსვამდი მიიღო ელექტრობა, ხახუნით დავაეღეპტრობე!

— ეს არის ელექტრობის ცდა?

— ახლა ვიწყებთ, მხოლოდ ჩააქრე სანათლე.

ბნელში ძლივს ვარჩევდი ჩემ ძმას და ლუმელის ალაგას კი რუხი ფერის ლაქა მოჩანდა.

— ახლა ჩემ ხელს ადევნე თვალი.



მე შევისუთნე ჰაერი.

მე უფრო მივხვდებოდი ხოლმე, ვიდრე ვხედავდი, რას აკეთებდა ბნელაში ნიკო; მან მოაცალა გაზეთი ლუმელს, ნაპირით დაიჭირა ხელში და მეორე ხელის ვაშლილი თითები მიუახლოვა მას. მე ჩემ თვალებს ძლივს ვუჯერებდი: თითებიდან გამოცვივდა ნაპერწკლები — გრძელი, მოლურჯო თეთრი ზოლები.

— ახლა ხომ დარწმუნდი, რომ გაზეთი ელექტრონით არის გატენილი? ეს ნაპერწკლები ელექტრობაა. გინ-

და, სცადე შენ თვითონ. იმ წამსვე ჩემი ხელემა ჩემ ზურგს უკან მიიმაღა.

— არაფრის გულისთვის!

ნიკომ მეორედ მიაღო გაზეთი ლუმელს, დაზილა ჯაგრით და ხელმეორედ თითებიდან გრძელი ნაპერწკლები გამოუცვივდა.


მე შევატყე, რომ გაზეთს არ შეეხო, მისი თითები 15 სანტიმეტრით დაშორებული იყო გაზეთს.

— ნუ გეშინია, სულ არ გეტკინება, მომეცი შენი ხელი.

ნიკომ მომიკიდა ხელი და მიმიყვანა ლუმელთან.

— გაშალე ხელი. ასე. გეტკინა?

მანამ გონს მოველ, ჩემი თითების ბოლოებიდან გამოცვივდა ნაპერწკლები. ნიკოს მხოლოდ ნახევარი გაზეთი მოეშორებია ლუმელისათვის, ქვიდა ნახევარი კი ისევ ლუმელზე იყო მიკრული. ნაპერწკლებთან ერთად თი-



ჯოხმა იგრძნო მიმზიდველობა.

თების ბოლოში ჩხვლეტა ვიგრძენი. მაგრამ ტკივილი სულ უმნიშვნელო იყო. მართლაც რომ საშიში არაფერი ყოფილა.

— კიდე, — ახლა მე ვებეწებოდი.

ნიკომ ისევ მიაღო გაზეთი ლუმელის კედელს და ისევ ხახუნი დაუწყო, მხოლოდ ახლა ხელისგულით.

— რას სჩადიხარ? — ხა, ხა, ხა, ჯაგრა დაგავიწყდა.

— სულ ერთია, — აბა, მოემზადე.

— არაფერი გამოვა. შენ გაზეთს ცარიელ ხელს უსვამდი.


— უჯაგროდაც შეიძლება, თუ ხელები მშრალია. საქმე ხახუნშია.

აი, დარწმუნდი!

მართლაც, ამ ჯერობაზედაც, როგორც წინათ, ჩემი თითებიდან ნაპერწკლები გამოცვივდა. ცოტა ხნის შემდეგ ნიკომ მითხრა:

„გეყოფა ამ ნაპერწკლებზე ცქერა. ახლა გაჩვენებ ელექტროს დინებას, რომელიც კოლუმბა და მაგელანმა თავისი გემების ანძების წვერზე ნახეს. მომეცი მაკრატელი.“

ნიკომ ბნელაში გასწავლია მოქალაქის ბოლოები მიუახლოვდა ლუმელს და ნახევრად მოშორებულ გაზეთს. მე ნაპერწკლებს ველოდი და სულ სხვა ვნახე: მაკრატლის ბოლოებიდან გამოდიოდა მოკლე ლურჯ-წითელი მზუყინავი კონები. მაკრატელი ქალაქიდან საკმარისად იყო დაშორებული; ამავე დროს გაისმა მსუბუქი ხანგრძლივი შრიალი.



გამოჭრილი ფიგურები დავალაგე.

— აი სწორედ ამისთანა, მხოლოდ უფრო გრძელი სხივების ნახვა უხდებათ მეზღვაურებს გემის ანძების წვერზე.

— საიდან ჩნდებიან იქ?

— შენ გინდა იკითხო, ვის უჭირავს ანძების ზევით ელექტრონით გატენილი გაზეთი? რასაკვირველია, იქ გაზეთი არ არის, არის მხოლოდ ელექტრონით დატენილი ღრუბელი. მაგრამ არ ვეგონოს, რომ ასეთი ელექტრონის სინათლეს მხოლოდ ზღვაში აქვს ადგილი.

— ეს ელექტრონის ძალა ძალიან სწვავს?



ადექით.

— სულაც არა. ეს ხომ ცეცხლი არ არის, მარტო სინათლეა, ცივი განათება. იმდენად ცივი, რომ წუმწემასაც კი არ ეკიდება. აი, უყურე: მაკრატელის მაგიერ წუმწემას ვიხმარ და, აი, ხედავ — წუმწემის თავის გარშემო სინათლეა, მაგრამ არ ეკიდება ცეცხლი. (დასასრული იქნება).

გასართობები

ქრონიკული
ბიბლიოთეკა

გემი და მხურავი პასი მოვარეა.

თამაში 32-ით.

მოვარეზე ყველა საგნები 6-ჯერ ნაკლებს იწონის, ვიდრე დედამიწაზე, ვინაიდან მოვარე 6 ჯერ სუსტად იზიდავს სხეულებს, ვიდრე ჩვენი დედამიწა.

ჩვენებური ფუთიანი აბრა მოვარეზე მხოლოდ 6^{1/2} გირვანქას აიწონის: მას ბავშიც-კი აათამაშებს ადვილად.

წარმოიდგინეთ მოვარეზე მტკნარი წყლიანი ტბა, მასში მცურავი გემით, რომელიც დედამიწის ტბაში 18 ფუტითაა ჩამჯდარი წყალში.

გამოიცანით: რა სიღრმეზე იჯდება გემი მოვარის ტბის წყალში?

ამ კითხვასთან ბარემ ესეც ახსენით: თუ ცურვა არ იცის კაცმა, სად უფრო ჩაიძირება — დედამიწის, თუ მოვარის ტბაში?

თამაშობს ორი.

დალაგეთ მაგიდაზე 32 ღერი წუმწემა. ვინც იწყებს თამაშს, იღებს 1, 2, 3 ან 4 ღერს.

შემდეგ მეორე იღებს რამდენიც უნდა, მხოლოდ, არა უმეტეს ოთხისა. შემდეგ ისევ პირველი იღებს არა უმეტეს 4-ისა და ასე გრძელდება თამაში.

ვინც უკანასკნელად აიღებს და მაგიდაზე არა დარჩება-რა, ის იგებს.


თამაშობა, როგორც ხედავთ, უბრალოა, მაგრამ იგი მით არის საინტერესო, რომ, ვინც თამაშს იწყებს, ყოველთვის შეუძლია მოიგოს, თუ სწორედ გამოიანგარიშებს, რამდენი უნდა აიღოს.

შეგიძლიათ თუ არა უჩვენოთ, როგორ უნდა ითამაშოს დამწყებმა, ე. ი. რამდენ-რამდენი აიღოს, რომ უეჭველად მოიგოს?

ამოხანა რომბებზე.


ექვსი თანასწორი რომბი მიადგით ერთიმეორეზე წვეროვებით ისე, რომ მიდგმულ წვერებთან შებრუნებული კუთხეები მივილოთ. მიდგმულ წვეროვებზე გაავლეთ დიაგონალი და მისი სწვრივი დანარჩენ წვეროვებზე. მიღებულ სამკუთხედებში ჩაწერეთ შემდეგი ასოები: ს, ი, ა, მ, ს, რ, ი, ვ, პ, ლ, ე, ი, ა, მ, ლ, ს, ა, ი, ნ, ვ, ე, ჩ, ისე რომ პირველ მწკრივში იყოს 5 ასო, მეორეში — 6, მესამეშიც 6 მეოთხეში — 5 და გამოვიდეს მუშათა დღესასწაულის მისალმება.

მე-2 და მე-3 ნუმერში მოთავსებულ გასართობთა ახსნა



№ 3-ში — შარადა: გუთანი.

გეომეტრიული ამოცანის ახსნა.






რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი დ. ელიოზიშვილის მიერ).

„  რ კაცის სახელი „ ანბნის მე-4 ასო „ ქალოქის სახელი „  დ გ კ „ გურიაში დედას რას ეძახიან? „

„  „  „ მ უ „  „  „ ს კავშირი გ „ ვაჟის სახელი „

„  „ ნ ძ „  100 „  „ ნ 10 ს „  „ აქვარ მე. იქ არის?... „  ლ მ „

„  „ ს „  „ თვე ითღრ „  „ ს „  „ ს მ „ ქალის სახელი „

